გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 25
(11 482)

30 მარტი – 2 აპრილი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჯილდო, რომელიც თაობებს ეკუთვნის



ის ლამაზი საღამო, რომელიც გაიმართა 26 მარტს ფილარმონიის დარბაზში, ისტორიას დაუვიწყარ კადრებს შემოუნახავს. მართალია, ნომინაციებში კონკრეტული გამარჯვებულები დასახელდნენ, მაგრამ თითოეულ ჯილდოს ჰქონდა ერთი საერთო მისამართი – ქართული ფეხბურთი. „ლელოს“ აღიარება საუკუნის საუკეთესო სპორტულ გაზეთად, ცხადია, უდიდესი პატივია. ეს აღიარება არის თითქმის 70 წლის მანძილზე რედაქციის მუშაკთა სხვადასხვა თაობის ღვაწლის დაფასება. „ლელო“ ის გაზეთია, რომელიც ქართული სპორტისა და კერძოდ, ქართული ფეხბურთის მემატიანედ იქცა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული სპორტული ტერმინოლოგიის დახვეწაში, ჟურნალისტთა კადრების აღზრდაში. დღეს ბევრი სპორტული გამოცემაა საქართველოში, სადაც არაერთი ლელოელი მოღვაწეობს. სხვა რომ არ ვთქვათ, ბოლო 10 წლიწადში გაზეთის 17 ყოფილი თანამშრომელი რედაქტორად მუშაობდა და მუშაობს, არა მხოლოდ სპორტულ პრესაში. ამიტომ ვამბობთ, რომ ჯილდო, რომელიც „ლელომ“ მიიღო ყველას ეკუთვნის, უპირველესად ვგულისხმობთ „სარბიელს“, გაზეთს, რომელმაც თავის დროზე, ჩვენს რედაქციაში „აიდგა ფეხი“ და საუკეთესო ტრადიციების ერთგული დარჩა.

ვულოცავთ ყველას!

P.S. „ლელოს“ რედაქცია, ყველა თაობის ლელოელთა სახელით, დიდ მადლობას უხდის იმ პიროვნებებს და ორგანიზაციებს, ვინც გაიზიარა ჩვენი სიხარული და გულწრფელად მოგვილოცა, რომელთა შორის არიან მოსკოვიდან საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები და იქ მაცხოვრებელი თანამემამულეები.



3

რუმინული პრესა გუშინ წერდა: „ჩვენი ნაკრები საქართველოში გარკვეული შიშით მიემგზავრებოდა. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და, პირველ რიგში, ეს ლადისლაუ ბოლონის დამსახურებაა, რომელმაც მასპინძელთა მწვრთნელებს ისეთი სათამაშო ტაქტიკა შესთავაზა, მატჩის ბოლომდე ვერ გაერკვნენ, რა უნდა ელონათ, გაცილებით სწრაფი რუმინელი ფეხბურთელების წინააღმდეგ“.

„...გაგვაოცა ქართველების პასიურმა თამაშმა, ნელმა საფეხბურთო აზროვნებამ, ბურთის გაუთავებელმა, უმიზნო ტარებამ – მათი სათამაშო ტაქტიკა მოძველებული და უპერსპექტივოა. რუმინეთმა ყველა საფეხბურთო ასპექტში დაჯაბნა მეტოქე. თუ ასე გააგრძელა „ტრიკოლორე“ აუცილებლად მოიპოვებს იაპონია-კორეის საგზურს“.

სფფ, როგორც იტყვიან, თან გადაჰყვა ეროვნულ ნაკრებს, მაგრამ ერთი გამოუსწორებელი „შეცდომა“ დაუშვა – ფეხბურთიც თავად უნდა ეთამაშა!






5

3-4

შესარჩევი ტურნირი

7 სპორტული სამყაროს ახალი ამბები

ფეხბურთში რეგიონული ლიგის აპრილის კალენდარი 4

ვაკის დახურულ საცურაო აუზში სპორტსმენების ნაცვლად დელფინებმა გაილაღეს, წყალზე ზამთარში ვარჯიშს მონატრებული ჩვენი ჭაბუკი წყალბურთელები კი რუსეთის ღია პირველობის ფინალურ ეტაპზე გადიან...

2

გაფრინდით ქართველ მორაგბეებთან ერთად ბუქარესტში. „ბორჯღალოსნებს“ იქ თქვენი ქომაგობა სჭირდებათ!



8

გაზეთის დაბეჭდვის წინ:


ფიოლერი

● გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ოფიციალურად განაცხადა, რომ რუდი ფიოლერი ქვეყნის ნაკრებს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე უხელმძღვანელებს. ამჟამად ფიოლერი 40 წლისაა.

● 2002 წლის **მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში სლოვენიისა და იუგოსლავიის საფეხბურთო ნაკრებებს შორის დამთავრდა არა მხოლოდ წარუმატებლად იუგოსლავიელებისათვის (1-1), არამედ მას მორიგი სკანდალიც მოჰყვა – ფეხბურთელები მთავარ მწვრთნელ მილოვან ჯორიჩს ფეხბურთელები აუჯანყდნენ.**

● საფრანგეთის „ოლიმპიკის“ პრეზიდენტმა რობერ ლუი-დრეიფუსმა კვლავ მიიწვია კლუბში სკანდალებით ცნობილი ბერნარ ტაპი. „ბერნარმა ყველაფერი იცის ფეხბურთზე და მას შეუძლია დაგვეხმაროს თავისი გამოცდილებით“ – განაცხადა „ოლიმპიკის“ თავკაცმა.


ბერნარ ტაპი

გრაციის „თაიგული“ – გუნდური კონკურსის გამარჯვებული „თელა“ ნ. ლეკვეიშვილის თასით



2


ბარიკელო

7

ფორმულა-1-ის ოსტატები ბრაზილიაში ჩადიან




მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 4 თვე დარჩა




ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 10 თვე და 9 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

## წყალბურთი | რუსეთის ღია პირველობა

# ჭაბუკებმა სასწაულებს შეგვაჩვიეს



**ჩვენი ჭაბუკი წყალბურთელები, რაც დრო გადის, სულ უფრო გვარწმუნებენ, რომ სპორტის ამ სახეობაში საამაყო ტრადიციებს უეჭველად დავიბრუნებთ. აგერ, რამდენიმე წელია ხან რუსეთის, ხან უკრაინის ღია პირველობებში საქართველოს წარგზავნილები პატარ-პატარა სასწაულებს ახდენენ. იზრდებიან ბიჭები და მაღლდება მათი ოსტატობაც. ალბათ შორს არც ის დროა, როცა ღირსეული ეროვნული ნაკრები გვეყოლება, ცხადია, უკვე მოზრდილებში.**

ამჯერად, 1985-86 წლიანთა რუსეთის ღია პირველობაში, ჩვენებმა ნახევარფინალში იასპარეზეს. ერთი სენსაცია ამ ეტაპზე გასვლა იყო, ახლა კი უფრო საამაყო შედეგით გაგვახარეს მწვრთნელების ირაკლი კიკალიშვილისა და სოსო მაისურაძის აღზრდილებმა — გუნდმა ფინალში გააღწია, თანაც ძალიან შთამბეჭდავად. მაგრამ ჯერ ის ვთქვათ, რომ ნახევარფინალს 6-6 გუნდი შემორჩა ორი ჯგუფიდან. ეს შეჯიბრება მოსკოვში და ძერჟინსკში ჩატარდა. ქართველები მოსკოვში ასპარეზობდნენ. აქ ისინი მხოლოდ ერთ ფრეს დასჯერდნენ — ადგილობრივ „ბურევესტნიკთან" — 3:3, დანარჩენი შეხვედრები მოიგეს: „შრომით რეზერვებთან" — 5:3, პეტერბურგის ნაკრებთან — 9:4, ვოლგოგრადის „სპარტაკთან" — 8:6, მოსკოვის „იუნოსტთან" — 6:4. ფინალში ჩვენები და ბურევესტნიკელები 5-5 ქულით შევიდნენ, „შრომითი რეზერვების" ნაკრები — 2 ქულით, „იუნოსტს" კი ქულა საერთოდ არ გადაჰყვა. მოსკოვში გამოვლენილი უძლიერესი ოთხეული, ძერჟინსკის ამდენივე რჩეულ გუნდთან ერთად ფინალს გაითამაშებს წრიული სისტემით მოსკოვში, 13 მაისიდან. მათ შორის უძლიერესი ოთხეული კი სუპერფინალში განაგრძობს ასპარეზობას.

— რუსეთის ღია პირველობის ორგანიზატორებს უკვე თავი მოვაბეზრეთ ჩვენი წარმატებებით. ცხადია, მათ უკვე არ სიამოვნებთ, როცა უცხო გუნდი ფინალის საგზურს ართმევს, ვთქვათ, რუსეთში წყალბურთის ისეთი აღიარებულ ცენტრს, როგორიცაა ვოლგოგრადი, ფინალის მიღმა დარჩა სანკტ-პეტერბურგის გუნდიც. ჩვენი შევიწროება უკვე დაიწყეს. ამჯერად ქართველ მსაჯს სასტვენი აღარ ანდეს, ყველა მატჩი მოსკოველებმა იმსაჯეს" — ამბობს ს. მაისურაძე.

მწვრთნელისგან ისიც შევიტყვეთ, რომ ჩვენი სამი წყალბურთელი ავად გამხდარა. ორ მათგანს კი გუნდის კაპიტანს თამაზ მანძულაშვილს და გაგა ჩხეიძეს სიცხიანს უთამაშიათ. ამის ნებართვა მათ მწვრთნელებისგან დაჟინებით მოუთხოვიათ. ჩინებულად ჩაუტარებიათ ყველა მატჩი მეკარე ზურაბ ჭუმბურიძეს და გუნდში ასაკით ყველაზე უმცროსს ზურაბ რურუას (1987 წელსაა დაბადებული), ეს ბიჭი წარსულში ცნობილი წყალბურთელის, თბილისის „დინამოს" და ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტნის დათო რურუას შვილია. ყმაწვილი უკვე 184 სმ სიმაღლისაა და შესანიშნავი მონაცემები აქვს.

უდავოდ საგულისხმოა, რომ ჩვენს ბიჭებს უცხოელმა სპეციალისტებმაც დაადგეს თვალი. მანძულაშვილს, მაგალითად, საბერძნეთი ეპატიჟება. მწვრთნელები აღიარებენ, რომ ჩვენში მოზარდების შემდგომი დაოსტატება შეუძლებელია — არ ტარდება შეჯიბრებები (სულ ორ ასაკში 1983-84; 1985-1986 წლიანებში, გვყავს გუნდები). ამ ორ გუნდს შორის გამარჯვებული წლეულს ევროპის ჭაბუკთა პირველობის შესარჩევ ტურნირზე გაემგზავრება, ესაა და ეს.

ცნობილია ისიც, რომ საქართველოში წყალბურთელთათვის სამეცადინო ადგილი არ გამოინახა, ფაქტობრივად, ზამთარში, თუმცა „ლაგუნავერე" გუნდებს წყალს უთმობს, საწვრთნელი პროცესი შეწყვეტილია, რადგან სიცივეში წარმოქმნილ ორთქლში, არა თუ ბურთს, მოთამაშეები ერთმანეთსაც ვერ ხედავენ. აგერ, ვაკის დახურულ აუზში კი თურმე წყლის ჩასხმა შესაძლებელი ყოფილა, ოღონდ... დელფინებისთვის. აი, ასე ზრუნავენ ქართულ სპორტზე ამ აუზის ვაი-მეპატრონეები. ამის შემდეგ მართლაც, რომ გმირობაა ჩვენი ყმაწვილი წყალბურთელების წარმატება.

მოსკოვის ტურნირზე „ლაგუნავერეს" გუნდის გამგზავრება თბილისის მერიის სპორტსკოლამ დააფინანსა. სულ მალე, ისევ წამოიჭრება ფინალში მონაწილეობისთვის თანხების პრობლემა, ნუთუ ისევ საკამათო და სამათხოვრო გახდება გუნდის დაფინანსება?

# „საუკუნის გაზაფხული" დასრულდა

ორგანიზატორებმა შავი ზღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო ასოციაციამ და ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლა „მართვემ", — 70-მდე გამოცდილი ოსტატი და ნორჩი მოჭადრაკე ჩააბეს ასპარეზობაში. მოქალაქეთა კავშირმა ყველა პრიზიორს შესანიშნავი, ამ ტურნირისათვის საგანგებოდ დამზადებული საჩუქრები გადასცა, მიკროსაფინანსო ბანკმა კი 1500 ლარი საპრიზო ფონდი შექმნა ოსტატთა ტურნირისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ ბანკის გენერალური დირექტორი ალექსანდრე ფონ გლაიხი თავადაა მოჭადრაკე. დაჯილდოებისას მან თქვა: „თქვენ ბევრი იმეცადინეთ. ოსტატობა აიმაღლეთ, და ჩვენი ბანკი კიდევ დაგეხმარებათ". ბუხუტი გურგენიძის მონაწილეობამ ტურნირს განსაკუთრებული ლაზათი შემატა. სპეციალურად მისთვის პრიზი დააწესა ტოტალიზატორმა „აჭარამ".


მიხეილ მჭედლიშვილი (I)


ბუხუტი გურგენიძე ახალგაზრდებთანაც შემართებით თამაშობს

გამარჯვებულ ქალბატონებს საჩუქრად საათები გადასცა კინოცენტრმა „რემკამ".

განათლების სამინისტრომ „ოლიმპიური ენციკლოპედიით" დააჯილდოვა რამდენიმე პრიზიორი.

„მართვეს" ტურნირის მონაწილეები ტრადიციულად სასმელებით მოამარაგა შპს-მ „წყალი მარგებელი" და „კოკა-კოლა". ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს სამგორის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, მის დირექტორ ქალბატონ ლამზირა მელქაძეს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ტურნირის მაღალ სპორტულ დონეზე ჩასატარებლად.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

***ტურნირი. ვაჟები:*** 1. მიხეილ მჭედლიშვილი — 5,5, 2. მერაბ გაგუნაშვილი — 5,5, 3.4. დავით არუთინიანი — 5, დავით შენგელია — 5; ***ჭაბუკები. 14-16 წ.:*** 1. რომან ჩიტაძე — 5,5, 2. დავით ჩოკოშვილი — 4,5, 3. ლევან კობერიძე — 3,5; ***12 წ.:*** 1. ნიკა ბრეგაძე —6, 2. გ. მარგველაშვილი — 6, 3. შოთა არველაძე — 5; ***8-10 წ. გოგონები:*** 1. ნონა პაქსაშვილი — 8, 2. მარიამ სონიშვილი (საგარეჯო) — 7, 3. ნათია ჯალაბაძე — 6,5; ***ბიჭები:*** 1. გიორგი გოჯიაშვილი — 4, 2. ლაშა ბოჭორიშვილი — 4, 3. თორნიკე გახოკიძე — 3,5:

***ქალები:*** 1. სოფიკო ტერელაძე — 4, 2. ნათია ჯანჯღავა — 3,5, 3. თამარ ჩალაბაშვილი — 3,5; ***გოგონები. 14-16 წ.:*** ლიანა დასნი — 4, 2. სოფიკო დოლიძე — (ლანჩხუთი) — 4, 3. ბელა ბერუაშვილი — 4,5; ***12 წ.:*** 1. ნინო კორძაძე — 3,5. 2, ანა ბუცხრიკიძე — 4,5, 3. თინათინ ჭავჭავაძე (საგარეჯო) — 3.

*შენიშვნა: მოჭადრაკეებს, ვისაც მინიშნებული არ აქვს ქალაქი ან რაიონი — ყველა თბილისიდანაა.*

## სპორტული ცეკვები «თბილისის თასი–2001»

სურათზე: მანუჩარ მანჯავიძე — ია სოროზნიშვილის წყვილი („თელა")


რობერტ ბაგრიანის ფოტოები

# როცა „ელეგიას" სევდასთან საერთო არაფერი აქვს...

სპორტული ცეკვების ეს ლამაზი დღესასწაული უკვე სახელმოხვეჭილმა კლუბმა „ელეგიამ" (ხელმძღვანელები ელენა და გიორგი ორველაშვილები) აჩუქა თავად მოცეკვავეებსა და მათი ხელოვნებით დაინტერესებულ მაყურებლებს. მასობრიობაზე თავად მეტყველებს ის, რომ „ქარიშხალას" დარბაზში თერთმეტ ქვეჯგუფში მოასპარეზენი იბრძოდნენ დედაქალაქის თასისთვის. თავიანთი წარმომადგენლები მოავლინეს აგრეთვე ლანჩხუთისა და აზერბაიჯანის კლუბებმა.

**კვარცხლბეკი.** ***პატარები. 2 ცეკვა:*** 1. გიორგი იაკობიძე — მარი მუხიგულაშვილი, 2. რამაზ კორინთელი — თინიკო მაისურაძე, 3. გია და თეონა კოჭლამაზაშვილები (სამივე წყვილი — „ელეგია"); ***6-8 წ. (4 ცეკვა):*** 1. ლევან ხოჭოლავა — ნინო გელაშვილი, 2. თორნიკე ტოტოშვილი — თიკა წიკლაური, 3. ოთარ ფოლადაშვილი — ქეთი ცხადაძე (სამივე წყვილი — „ელეგია"); ***მოზრდილები (4 ცეკვა):*** 1. დათო მაისურაძე — თინიკო ცხოვრებაძე („ელეგია"), 2. ალექსეი ანპილოვი — ალიონა ჩუგუნოვა (ბაქო), 3. გიორგი სირაძე — მაია მანჩხაშვილი („ელეგია"); ***იუვენალი I:*** 1. დენის ხოხლოვი — ნარა გასანოვა (ბაქო), 2. რატი გაჩეჩილაძე — ქეთი ალავერდაშვილი, 3. დათო ცქიტიშვილი — ნინო ზაზუნაშვილი (ორივე წყვილი — „თელა"); ***იუვენალი II:*** 1. გია მეგრელიშვილი — ნინო გადელია („ელეგია"), 2. გია მირიანაშვილი — ნატალი მჟავია („თელა"), 3. ირაკლი ცქიფურიშვილი — თამუნა მიქელაძე („ელეგია"); ***იუნიორი 2:*** 1. გოგიტა გონგაძე — მზია ორველაშვილი („ელეგია"), 2. რაფაელ ანანიკიანი — ლიკა ჭაბუკიანი („თელა"), 3. პაატა ჩუტკერაშვილი — ლაურა ქველაძე („ელეგია"); ***ახალგაზრდები + დიდები ST:*** 1. დათო კულუმბეგაშვილი — ია კვირიკაშვილი, 2. მამუკა ბახტაძე — მაგდა ჯიბლაძე, 3. მანუჩარ მანჯავიძე — ია სოროზნიშვილი (სამივე — „თელა"), ***ჰობი (8 ცეკვა):*** 1. ბაჩო ტყემალაძე — ნინო ქოთოლაშვილი, 2. ვოვა ფომინი — ნინო სანიკიძე (ორივე — წყვილი — „გრაცია"), 3. შოთა ავაზაშვილი — ირინე ხაჩიძე („ელეგია"); ***ჰობი 5 ცეკვა:*** 1. კახა ქაჯაია — ნინო გრიგოლია („გრაცია"), 2. დათო წიგნაძე — სოფიკო კუპრეიშვილი, 3. ირაკლი საბაძე — თიკო დავითაია (ორივე წყვილი — „თელა"); ***გუნდური პირველობა:*** 1. „თელა", 2. „ელეგია", 3. „ვარკეთილი"..

**P.S. იუნორ 2-ში მოასპარეზეთა შედეგების შეჯამებისას მსაჯების მიერ ტექნიკური შეცდომის გამო, მესამე ადგილის ბედი ქულების ხელახალი დათვლით გაირკვა, რისთვისაც საანგარიშო კომისიამ ბოდიში მოუხადა ჩუტკურიშვილ — ქველაძის წყვილს, რომლებსაც შემდეგ დამსახურებულად მიენიჭათ III საპრიზო ადგილი.**


გუნდურ შეჯიბრებებში გამარჯვებულები


პაატა ჩუტკერიშვილი — ლაურა ქველაძე

*საქართველოს სპორტულ მოცეკვავეთა წარმატებაზე ბაქოში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, „ლელოს" უახლოეს ნომერში გიამბობთ.*

გვერდი მოამზადეს ფ/ა და სპორტის აკადემიის ჟურნალისტიკის მეორადი ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებმა.

გამოიწერეთ ლელო 2001 წლისათვის!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

## მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი • ევროპა • VIII ჯგუფი

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 28 ათასი მაყურებელი.

**საქართველო — რუმინეთი 0-2**

**საქართველო:** გვარამაძე, სილაგაძე (იაშვილი, 72), კობიაშვილი, რეხვიაშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე, ნემსაძე, ყველაშვილი (ზ. ჯანაშია, 52), ქეცბაია (ქემოკლიძე, 61), ქინქლაძე, შ. არველაძე.

**რუმინეთი:** სტელია, კონტრა, პროდანი, ფილიპესკუ, კ. მუნტიანუ, რადოი (გალკა, 57), კივუ, დ. მუნტიანუ, მოლდოვანი (სტოიკა, 88), კოდრია, ილიე (მ. ნიკოლაე, 22).

***გოლები:*** დ. მუნტიანუ (69), კონტრა (81).

***გააფრთხილეს:*** კივუ, კ. მუნტიანუ, ქემოკლიძე.

***მსაჯი:*** რუნე პედერსენი (ნორვეგია).

***ფიფას კომისარი:*** ჟილბერ ფაკინეტი (შვეიცარია).



# ურემი გადაბრუნდა...

გასაოცარი ამბავი მოხდა: მაშინ, როდესაც რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი ამტკიცებდნენ, ნაკრებში იმდენად დიდი კონკურენციაა, რომ თითოეულ ადგილზე ორ-ორი ფეხბურთელი მოდის და ამიტომ გუნდის ძირითად შემადგენლობას მხოლოდ უშუალოდ მატჩის წინ განვსაზღვრავთო, 28 მარტს, დილის ათ საათზე ინტერნეტში რუმინული გაზეთ „მონიტორულის" საიტის გვერდში ამოვიკითხეთ ორივე მოპაექრე გუნდის შემადგენლობაც, მოთამაშეთა განლაგებაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, სათამაშო ტაქტიკაც კი. როდესაც ყოველივე ეს კოლეგებს გავაცანი, დაეჭვდნენ: ნუთუ ჩვენები ისევ ერთი თავდამსხმელით ითამაშებენ, ან როგორ შეიძლება კლუბში უთამაშებელი ქინქლაძე ჯამარაულს ამჯობინონო.

ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც იმ საღამოს: მინდორზე ზუსტად „მონიტორულის" ვერსია განმეორდა. ეს მოწმობს იმას, რომ რუმინელებმა ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე შესანიშნავად შეისწავლეს საქართველოს ნაკრების არა მარტო ფეხბურთელები, არამედ ძოძუაშვილისა და ყიფიანის ხასიათი, სამწვრთნელო კრედო, რომელიც ნათლად გამოჩნდა განვლილ მატჩში.

როცა ყველაფერი დამთავრდა და ქართველი მწვრთნელები ჟურნალისტებს შეხვდნენ, პირველი რაც თქვეს, პასუხისმგებლობის თემა გახლდათ. როცა გუნდი იგებს, „დამნაშავენი" ფეხბურთელები არიან, მარცხში კი მწვრთნელებს ადანაშაულებენ, ამიტომ ორივე მწვრთნელი თანაბრად ვიყოფთ ამ პასუხისმგებლობასო. მერე იყო საუბარი იმაზე, თურმე ამხელა ქვეყანაში ერთი სათანადო დონის მეკარე ვერ მოიძებნა — აქ, საქართველოს პირობებში, ჩვენი მწვრთნელების განცხადებით — უხარისხო საფეხბურთო მინდვრებზე მაღალი კლასის გოლკიპერს ვერ გავზრდითო. თქვე ოჯახაშენებულებო, თუ ასე იყო საქმე, რამ დაგიშალათ სხვათა მსგავსად, საქართველოში ჩამოგეყვანათ სხვა ეროვნების თუნდაც მხოლოდ მეკარე? გაიხედეთ ირგვლივ — უკრაინა აიღეთ, ბელარუსი, უზბეკეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, თითო-ოროლა ჩამოყვანილი ფეხბურთელი ყველას ჰყავს. არ შეიძლებოდა იგივე ნაბიჯი ჩვენც გადაგვედგა? თუ, იმას იტყვით, რომ ეს ფინანსურად განუხორციელებელი ამოცანა იყო? სადაც სფფ-სგან ამდენი ხელშეწყობა გაქვთ — ამხანაგური მატჩები, საზღვარგარეთული შეკრებები, პრემიალური თანხები — დავიჯეროთ ამაზე გეტყოდნენ უარს? ახლა კი მწარე რეალობის წინაშე დავდექით — ნაკრებს მეკარე არ ჰყავს!

და არა მხოლოდ მეკარე. აკი თავად აღიარეს მწვრთნელებმა — მატჩი ნახევარმცველებმა წააგესო. ამაში მართლაც დაგეთანხმებით. მაგრამ მაინც, გავბედავთ და ვიტყვით, ამ რგოლში ჩავარდნაც პროგნოზირებადი იყო. როდესაც მინდორზე სათამაშო პრაქტიკას მოკლებული ქინქლაძე ვიხილეთ. კი, თქმა არ უნდა, იგი უდავოდ ნიჭიერი, თვითმყოფადი ფეხბურთელია, მაგრამ ამ მომენტისათვის აშკარად შორსაა ჩვეული სპორტული კონდიციებისგან. გვყავდა კი მისი სრულფასოვანი შემცვლელი? რა აზრისანი არიან ჩვენი მწვრთნელები, არ ვიცი, მაგრამ მტკიცედ მწამს, რომ გოჩა ჯამარაულს ამჟამად უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია ნაკრებისთვის და, პირველ რიგში, თავისი მებრძოლი სულით და შემართებით, რომელიც ასე აკლდა იმ დღეს ქართველ ფეხბურთელებს (თუმცა მწვრთნელები ალბათ, იტყვიან: ჯამარაული რომ გამოგვეყვანა, მაშინ ქინქლაძეზე მიგვანიშნებდითო. *რედ.*).

ახლა ჩვენს წინახაზელებზეც ვთქვათ. შეიძლება ვცდები, მაგრამ იმ დღეს ეულად გამრჯე შოთა არველაძე იმთავითვე განწირული იყო უმოქმედობისათვის. მარტო კაცი ჭამაშიც ბრალია, მით უმეტეს თავდასხმაში. ერთი ფორვარდით თამაში მაშინ ამართლებს, როცა მას აქტიურად ეხმარებიან ნახევარმცველები. საქმეს არც მეორე ტაიმში ჯანაშიას გამოყვანამ უშველა — კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არველაძე-ჯანაშიას ტანდემი განუხორციელებელი ოცნებაა. აშკარაა, რომ ისინი არც სათამაშო სტილით, არც ხასიათით ეწყობიან ერთმანეთს.

მაშ რა გამოდის? ჩვენს ნაკრებს არ ჰყავს მეკარე, ხელახლა შესაკრავია ნახევარდაცვისა და თავდასხმის რგოლები. ესე იგი, გუნდი არ არსებობს და ეს მწარე რეალობაა. და მაინც, მჯერა, 28 მარტის მარცხიდან ჩვენი ფეხბურთელები, მწვრთნელები სათანადო დასკვნებს გამოიტანენ. ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის. ჯგუფში საოცნებო მეორე ადგილი სულაც არაა უტოპია. მთავარია მოვინდომოთ და ნაღდი ფეხბურთი ვითამაშოთ. წინ იტალიასთან მატჩია!

**ჯემალ ჯიპაშვილი**



*ნემსაძე (შავი მაისურით) და მუნტიანუ, რომელმაც პირველი გოლი გაიტანა.*

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

**P.S. არ ვიცი, ვის როგორ მიაჩნია, მაგრამ როდესაც მინდორზე ზოზინით გამრჯე ქართველ ფეხბურთელებს ვუყურებდი, ძალაუნებურად მივედი დასკვნამდე, რომ გერმანიაში შეკრება უშუალოდ მატჩის წინ, ალბათ დიდი შეცდომა იყო. მაგრამ თუ მაინცდამაინც აუცილებლად გვესაჭიროებოდა, ცოტა ადრე ჩამოსულიყვნენ თბილისში. აშკარაა მატჩის წინა დღეს მგზავრობაში დახარჯული ენერგიის აღდგენა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს. აკი ჭკვიანურად მოიქცა ლადისლაუ ბოლონი, გუნდი საქართველოსკენ სამი დღით ადრე რომ გამოამგზავრა.**

***მსოფლიო ჩემპიონატის მასალები იხ. მე-5 გვ.***

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს ფეხბურთის სათავეებთან ყოფნისას გამოვლენილი ერთგულებისა და თავდადებისათვის, ქართული ფეხბურთის განვითარებაში, ახალგაზრდებს შორის მის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, უსაზღვრო პატრიოტიზმისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის მეოცე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი, ლეგენდად ქცეული ***ბორის პაიჭაძე*** დაჯილდოვდა I ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

# მწარე რეალობის წინაშე

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი. 27 მარტი. „შევარდენის" სტადიონი

**საქართველო — რუმინეთი 0-3 (ახალგაზრდული ნაკრებები)**

**საქართველო:** ლომაია, საჯაია, ხიზანეიშვილი, აბრამიძე, წერეთელი, გილაური (გვაზავა, 46), იმედაძე, კაკაშვილი (კორღალიძე, 35), ჯაკობია (ბურდული, 70), წიტაიშვილი, მელქაძე.

**რუმინეთი:** დოლხა, გროიტურო, რატი, გიონეა, მატფეი, მარინჩაუ, პატრასკუ, დრაგანი (ჩებოტარუ, 75), იაკობი (დიკა, 65), ჩერნატი, ნეაგა (გავრილესკუ, 86).

***გოლები:*** 0-1 ჩერნატი (11), 0-2 ნეაგა (41), 0-3 დრაგანი (75).

***გააფრთხილეს:*** წიტაიშვილი (35), ხიზანეიშვილი (39), რატი (45), გვაზავა (60), ჩებოტარუ (80), დიკა (82).

***მსაჯები:*** ა. ფრილანდი, ვ. ირვინი, რ. ჯონსტონი, კ. ჰარდი (ყველა — შოტლანდია).

***ფიფას კომისარი:*** იუსუფ ნამოღლუ (თურქეთი).

„მეორე წელია ნახევარმცველს ვეძებ, ვინ არ გამოვცადე ამ რგოლში, მაგრამ სასიკეთო შედეგი არაა. გუნდიდან სამ ფეხბურთელს გამოვყოფდი, თუმცა სამი კაცის კარგი თამაში გამარჯვებისათვის საკმარისი არ არის".

„ჩვენ ვიცოდით, როგორ უნდა გვეთამაშა. ფსიქოლოგიურად მოვემზადეთ. დაცვაში კარგად ვითამაშეთ. საქართველო — იტალიის, საქართველო — უკრაინის მატჩების ვიდეოფირები გვქონდა და მეტოქე კარგად შევისწავლეთ".

მურთაზ ხურცილავა გულდაწყვეტილი ტოვებდა პრესკონფერენციის დარბაზს, მისი მეტოქე იონ მოლდოვანი კი თავაწეული. მკითხველი ადვილად მიხვდება ვინ რა თქვა მატჩის შემდეგ. თუმცა, მატჩამდე ოპტიმიზმის პატარა ნაპერწკალი მაინც ღვიოდა. თითქოს შემადგენლობასაც არა უშავდა, მაგრამ დაიწყო შეხვედრა და ყველა ერი უკუღმა შეტრიალდა. მინდორზე თითქმის ოთხი თავდამსხმელით გამოსულმა ჩვენმა გუნდმა ვერაფერი სასიკეთო შექმნა. ჯაკობიას ფუნქცია გაურკვეველი იყო, კაკაშვილი ნახევარ საათში შეცვალეს. გილაური ხშირად ცდებოდა, ბოლოს ისიც გამოცვალეს. მაგრამ მინდორზე შემოსულმა ფეხბურთელებმა თამაშს ვერაფერი დაატყვეს, რამაც დიდი ანგარიშით დამარცხებაც გამოიწვია.



სტუმრები მასპინძლებისგან მწყობრი თამაშით გამოირჩეოდნენ, მათ ლიდერიც ჰყავდათ, კაპიტანმა ფლორიან ჩერნატმა გოლიც გაიტანა და თამაშში შესაშური აქტიურობითაც გამოირჩეოდა.

რუმინელები მალე დაწინაურდნენ: სწორედ ჩერნატის ზუსტი დარტყმით გაიხსნა ანგარიში. ტაიმის მიწურულს მეორე გოლი ისევ ჩერნატის აქტიურობას მოჰყვა. გილაურს ორთაბრძოლაში ბურთი აართვა. ბოგდანს მიაწოდა, ამანაც არ დააყოვნა, ზუსტი პასით ნეაგა მეკარესთან პირისპირ დატოვა და სტუმართა თავდამსხმელმა ლომაიას შანსი არ დაუტოვა. მეორე ტაიმში ქართველთა აქტიურობას რუმინელებმა მესამე გოლით უპასუხეს და მატჩიც ჩვენთვის უსახელოდ დასრულდა.

მარცხის მიზეზი მრავალია. გუნდის მომზადების დონით დაწყებული, ფეხბურთელთა შერჩევით დამთავრებული. ასე რომ, საქმე თავზე საყრელი აქვთ ჩვენს მწვრთნელებს.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

### I ჯგუფი

**სლოვენია — იუგოსლავია 1-2**

0-1 ბრნოვიჩი (21), 0-2 ბრნოვიჩი (82), 1-2 კორენი (87).

**შვეიცარია — ლუქსემბურგი 6-0**

კაბანასი (14, 62 პენ, 90), გრეკო (18), გიგნახი (24), ძანი (35).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 4 | 2 | 2 | 0 | 12-4 | 8 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-4 | 7 |
| სლოვენია | 4 | 1 | 2 | 1 | 6-3 | 5 |
| რუსეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| ლუქსემბურ. | 4 | 0 | 0 | 4 | 1-16 | 0 |

### II ჯგუფი

**კვიპროსი — ესტონეთი 3-1**

0-1 ტანხუნპაა (5), 1-1 კავაზისი (10), 2-1 ვოსკარ ი დისი (16), 3-1 კიტოსი (55).

**პორტუგალია — ჰოლანდია 3-0**

მონტეირო (50), პაულ კოშტა (61,90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 3 | 1 | 0 | 10-3 | 10 |
| ჰოლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| ირლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| კვიპროსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

### III ჯგუფი

**ბულგარეთი — ჩრდ. ირლანდია 2-0**

გენჩევი (4), იანევი (27).

**ჩეხეთი — დანია 3-0**

ვახუშეკი (50), ბაროსი (39,59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 13 |
| ჩეხეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-2 | 12 |
| დანია | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| ჩრდ. ირლანდ. | 5 | 2 | 0 | 3 | 8-9 | 6 |
| ისლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| მალტა | 4 | 0 | 1 | 3 | 0-6 | 1 |

### IV ჯგუფი

**მაკედონია — თურქეთი 1-4**

0-1 ტაიფუნი (27), 0-2 ხუსეინი (38), 0-3, 0-4 ბერკანტი (44,54), 1-4 პანდევი (81).

**სლოვაკეთი — აზერბაიჯანი 5-0**

სედლაკი (3), ხანეკი (46), ვიტეკი (56), კრეიჩი (64), ბედნარი (87).

**მოლდოვა — შვედეთი 0-2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-1 | 13 |
| შვედეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 8-1 | 11 |
| თურქეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| მოლდოვა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-6 | 4 |
| აზერბაიჯანი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-13 | 4 |
| მაკედონია | 5 | 0 | 0 | 5 | 2-13 | 0 |

### V ჯგუფი

**უელსი — უკრაინა 0-3**

მონარევი (11,20), ოლექსიენკო (15).

**ბელარუსი — ნორვეგია 1-0**

კუტუზოვი (75).

**პოლონეთი — სომხეთი 1-1**

1-0 სმოლიარეკი (43), 1-1 აკოფიანი (50).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 14-2 | 12 |
| უკრაინა | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| ნორვეგია | 5 | 4 | 0 | 1 | 11-5 | 9 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-9 | 8 |
| სომხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-13 | 4 |
| უელსი | 5 | 0 | 0 | 5 | 3-10 | 0 |

### VI ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| ლატვია | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

### VII ჯგუფი

**ავსტრია — ისრაელი 0-2**

ზანდბერგი (15), სარფატი (49 პენ).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-5 | 13 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| ისრაელი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-9 | 6 |
| ავსტრია | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| ბოსნია | 4 | 0 | 1 | 3 | 1-5 | 1 |

***იხ. მე-4 გვ.***

# ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი ტურნირი

UEFA UNDER-21 Championship

(მესამე გვერდიდან)

### VIII ჯგუფი

საქართველო — რუმინეთი 0-3

იტალია — ლიტვა 1-0

დონატი (24)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 9-3 | 13 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-2 | 7 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| ლიტვა | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 3-8 | 0 |

### IX ჯგუფი

ალბანეთი — ინგლისი 0-1

გრინინგი (69 პენ.).

საბერძნეთი — გერმანია 2-0

კირიაზისი (28 პენ.), ამანატიდისი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| ინგლისი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| გერმანია | 4 | 2 | 1 | 1 | 11-4 | 7 |
| ფინეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-13 | 0 |

IX ჯგუფის ლიდერების საბერძნეთისა და გერმანიის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩს ათენში 5 ათასი მაყურებელი დაესწრო, ტელეტრანსლაცია კი ევროპის 18 ქვეყანაზე მიდიოდა. მეორე ტაიმის დასაწყისში შეხვედრა 6 წუთით შეწყდა იმის გამო, რომ საფეხბურთო მინდორზე ძაღლი გამოვარდა. მისი დაჭერა კარგა ხანს ვერავინ შეძლო, ადამიანების ოთხფეხა მეგობარმა დრიბლინგის გასაოცარი უნარი გამოავლინა. ბოლოს გერმანელთა სათადარიგო მეკარე პრეემ ივაჟკაცა, რომელიც აკრობატულ ნახტომში ფეხში სწვდა ცხოველს...

სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე

# არ შეეხოთ არბიტრებს, დაისჯებით!

ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა, სანაკრებო მატჩის მოლოდინში შინაური საქმეებისთვის მაინც მოიცალა. გასარჩევმა საკითხებმა საკმაო სჯა-ბაასი გამოიწვია. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად, ერთი საკითხი გადაიდო და დღეს, პარასკევს ისევ დაუბრუნდებიან. გუშინწინდელი სხდომა კი ასე წარიმართა.

თბილისის დინამოელმა და რუსთაველმა სეხნიებმა ერთი და იგივე ასაკის ორმა გიორგი მიქაძემ, იდენტური სასჯელი მიიღო — თითო მატჩის დისკვალიფიკაცია და 50-50 ლარი ჯარიმა ორი ყვითელი ბარათისა და გაძევების გამო. ნიკურაძეც ერთ მატჩს გაზოტოვებს და 50 ლარს გადაიხდის.

ხაშურელმა მიხეილ ლომიძემ მსაჯს აგინა, რისთვისაც ორ მატჩს გამოტოვებს და ჯარიმას 100 ლარს გადაიხდის. ბათუმელი პაპიძე და გორელი ხმალაძე ერთმანეთს წაეკიდნენ სიტყვიერად და ფიზიკურად, ამიტომაც მეორე ეტაპის საწყის ოთხ ტურს გამოტოვებენ, ჯიბეს კი 200-200 ლარით შეითხელებენ.

ბათუმის „დინამოსა" და თბილისის „მერანის" მატჩის დაძაბულობამ მაყურებლებზეც და ფეხბურთელებზეც იმოქმედა. სუსტი ნერვების ბათუმელებმა ივანე მახარაძემ და ამირან მუჯირმა მსაჯების შეურაცხყოფისა და დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად, ორი და ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს. პირველი 100, მეორე კი 200 ლარ ჯარიმას გადაიხდის. ბათუმის „დინამოს" დისციპლინის განმტკიცება მოსთხოვეს და მკაცრად გააფრთხილეს. მაყურებლების უწესობას ზღვისპირელთა სტადიონი შეეწირა — ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 500 ლარი ჯარიმა. მაყურებელთაგან მინდორზე სხვადასხვა ნივთის სროლისათვის ხაშურის სტადიონის მესვეურები გააფრთხილეს და 200 ლარის გადახდა დააკისრეს. ზუგდიდის „დინამოს" ფეხბურთელთა ნაწილი მანქანის დაზიანების გამო გორში, „ცხინვალთან" მატჩზე დროულად ვერ ჩავიდა. თამაში არ ჩატარდა. „დინამოს", დებულებით, 0-3 წაგება ჩაეთვალა. გუნდი კი უკანასკნელად გააფრთხილეს.

„დილა" — „კოლხეთის" მატჩში გვერდით მსაჯს ბუიშვილს ტრიბუნიდან ნასროლი საგანი თავში მოხვდა, იგი წაიქცა, მატჩი კი სამი წუთით შეწყდა. თუმცა, მსაჯმა შეხვედრის გაგრძელება შეძლო, თამაშიც დროზე დასრულდა. კომიტეტის წევრები, მოსმენილით და გაგონილით არ დაკმაყოფილდნენ და განხილვა ინციდენტში ღრმად გარკვევის მიზნით გადაიდო.

საბა ლომინაძე

## I ლიგა

ცხინვალი — დინამო (ზ) 3-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგი | 22 | 12 | 6 | 4 | 36-19 | 42 |
| გურია-ლოკ2 | 22 | 12 | 5 | 5 | 30-25 | 41 |
| შუქურა | 22 | 12 | 4 | 6 | 34-18 | 40 |
| მილანი | 21 | 12 | 3 | 6 | 32-18 | 39 |
| სამგურალი | 22 | 12 | 3 | 7 | 40-21 | 39 |
| ცხინვალი | 22 | 12 | 3 | 7 | 47-24 | 39 |
| თორი | 22 | 8 | 5 | 9 | 22-19 | 29 |
| კოლხეთი (ხ) | 22 | 6 | 7 | 9 | 18-24 | 25 |
| დინამო (ზ) | 21 | 7 | 3 | 11 | 19-46 | 24 |
| ოკეანე | 22 | 5 | 4 | 13 | 22-40 | 19 |
| თბილისი | 22 | 5 | 2 | 15 | 11-34 | 17 |
| ივერია | 22 | 4 | 3 | 15 | 12-45 | 15 |

# საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატის რეგიონალური ლიგის აპრილის კალენდარი



## აღმოსავლეთის ზონა

**XIV ტური**

*4 აპრილი, ოთხშაბათი*

ცხუმი — შსს აკადემია

*5 აპრილი, ხუთშაბათი*

ხალიბი — ლოკომოტივი-3

*6 აპრილი, პარასკევი*

თბილისი-2 — კავკასიონი

ალაზანი — ასკ

ზოოვეტი — სამგორი

ისვენებს ჭაბუკიანი

**XV ტური**

*10 აპრილი, სამშაბათი*

ლოკომოტივი-3 — ცხუმი

სამგორი — ჭაბუკიანი

კავკასიონი — ხალიბი

ასკ — ზოოვეტი

შსს აკადემია — ალაზანი

ისვენებს თბილისი-2

**XVI ტური**

*19 აპრილი, ხუთშაბათი*

ალაზანი — ლოკომოტივი-3

ზოოვეტი — შსს აკადემია

ჭაბუკიანი — ასკ

ხალიბი — თბილისი-2

*20 აპრილი, პარასკევი*

ცხუმი — კავკასიონი

ისვენებს სამგორი

**XVII ტური**

*25 აპრილი, ოთხშაბათი*

კავკასიონი — ალაზანი

ლოკომოტივი-3 — ზოოვეტი

თბილისი-2 — ცხუმი

შსს აკადემია — ჭაბუკიანი

ასკ — სამგორი

ისვენებს ხალიბი

**XVIII ტური**

*29 აპრილი, კვირა*

სამგორი — შსს აკადემია

ჭაბუკიანი — ლოკომოტივი-3

ზოოვეტი — კავკასიონი

ალაზანი — თბილისი-2

*30 აპრილი*

ცხუმი — ხალიბი

ისვენებს ასკ

## ცენტრალური ზონა

**XIV ტური**

*5 აპრილი, ხუთშაბათი*

საბურთალო — დინამო-2

ამირანი — ოლიმპიკი

ვიტ ჯორჯია-2 — დილა-2

*6 აპრილი, პარასკევი*

ვალენსია — ს.ა. იბერია

მრეტები — მესხეთი

ისვენებს ვარძია

**XV ტური**

*10 აპრილი, სამშაბათი*

დინამო-2 — ვიტ ჯორჯია-2

ოლიმპიკი — საბურთალო

ს.ა. იბერია — ვარძია

მესხეთი — ვალენსია

დილა-2 — მრეტები

ისვენებს ამირანი

**XVI ტური**

*18 აპრილი, ოთხშაბათი*

მრეტები — დინამო-2

ვალენსია — დილა-2

ვარძია — მესხეთი

ვიტ ჯორჯია-2 — ოლიმპიკი

*19 აპრილი, ხუთშაბათი*

საბურთალო — ამირანი

ისვენებს ს.ა. იბერია

**XVII ტური**

*25 აპრილი, ოთხშაბათი*

დინამო-2 — ვალენსია

ოლიმპიკი — მრეტები

მესხეთი — ს.ა. იბერია

ამირანი — ვიტ.ჯორჯია-2

დილა-2 — ვარძია

ისვენებს საბურთალო

**XVIII ტური**

*29 აპრილი, კვირა*

ვიტ-ჯორჯია-2 — საბურთალო

ს.ა. იბერია — დილა-2

მრეტები — ამირანი

ვარძია — დინამო-2

ვალენსია — ოლიმპიკი

ისვენებს მესხეთი

## დასავლეთის ზონა

**XIV ტური**

*5 აპრილი, ხუთშაბათი*

დინამო (სხ.) — კოლხეთი-2

სულორი — დინამო-2 (ბთ.)

ინტერი — სალხინო

*6 აპრილი, პარასკევი*

მერცხალი — სამეგრელო

სქური — ლაზიკა

მზიური — გურია-2

**XV ტური**

*10 აპრილი, სამშაბათი*

ინტერი — მერცხალი

კოლხეთი-2 — სქური

სალხინო — სულორი

დინამო-2 (ბთ.) — მზიური

გურია-2 — დინამო (სხ.)

ლაზიკა — სამეგრელო

**XVI ტური**

*18 აპრილი, ოთხშაბათი*

სულორი — ინტერი

დინამო (სხ.) — დინამო-2 (ბთ.)

სამეგრელო — კოლხეთი-2

*19 აპრილი, ხუთშაბათი*

მზიური — სალხინო

მერცხალი — ლაზიკა

სქური — გურია-2

**XVII ტური**

*25 აპრილი, ოთხშაბათი*

სულორი — მერცხალი

ინტერი — მზიური

სალხინო — დინამო (სხ.)

დინამო-2 ([illegible]) — სქური

გურია-2 — სამეგრელო

კოლხეთი-2 — ლაზიკა

**XVIII ტური**

*29 აპრილი, კვირა*

მერცხალი — კოლხეთი-2

სამეგრელო — დინამო-2 (ბთ.)

დინამო (სხ.) — ინტერი

სქური — სალხინო

ლაზიკა — გურია-2

*30 აპრილი, ორშაბათი*

მზიური — სულორი

## მარადონა უეფას წინააღმდეგ

**დიეგო მარადონამ არგენტინელ ჟურნალისტებთან საუბარში მკაცრად გააკრიტიკა უეფას ხელმძღვანელობა. მას არ მოსწონს, რომ უეფამ მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი რაული გოლის ხელით გატანისათვის 11 ათასი დოლარით დააჯარიმა და ერთი მატჩით დისკვალიფიკაციაც მისცა. მარადონამ, რომელმაც 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ცნობილ მატჩში ინგლისელების წინააღმდეგ ასევე ხელით შეაგდო ბურთი, განაცხადა: „უეფას ხელმძღვანელებს ფეხბურთი არასოდეს უთამაშიათ, რა მათი განსასჯელია, როგორ გაიტანა გოლი რაულმა. საერთოდ კი, ყველა ისინი კარგა ხანია ფეხბურთის ორგანიზაციიდან გასაყრელები არიან".**

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### სჯობს ნეიტრალურ მინდორზე ითამაშონ!

**ინგლისის თასის ნახევარფინალური მატჩები, რომლებიც 8 აპრილისათვის არის დანიშნული, ნეიტრალურ მინდვრებზე ჩატარდება. ასე უფრო სამართლიანი იქნება — მიიჩნევენ ინგლისური ფეხბურთის მესვეურები.**

**კერძოდ, ლონდონის კლუბები „არსენალი" და „ტოტენჰემ ჰოტსპური" მანჩესტერის სტადიონ „ოლდ ტრაფორდზე" ითამაშებენ, „ლივერპული" და „უიკომბი" (მეორე დივიზიონი) ბირმინგემის „ვილა პარკზე".**

### ასეთი რამ განა ოდესმე მომხდარა?

ესპანეთის ჩემპიონატის „ვალი დოლიდისა" და „სელტას" მატჩში მართლაც რომ უიშვიათესი რამ მოხდა. სტუმრების მცველი ფერნანდო კასარესი უხეშად დაესხა თავს ალბერტო პერესს და მსაჯმა თამაშის დაწყებიდან... მე-13 წამზე პენალტი დანიშნა!

### გულის ძლიერი შეტევის შედეგად

ნორვეგიის ნაკრების ნახევარმცველი სტოლე სოლბაკენი დანიის კლუბ „ფკ კოპენჰაგენში" თამაშობს. მას ერთ-ერთ ვარჯიშზე გულის ძლიერი შეტევა მოუვიდა და სასწრაფოდ გააგზავნეს საავადმყოფოში. ერთხანს, გული საერთოდ გაუჩერდა. ტვინის ტომოგრაფიამ აჩვენა, რომ ძირითადი სასიცოცხლო ცენტრი ფეხბურთელს არ დაზიანებია და თანდათან მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, აღარ დასჭირდა ხელოვნური სუნთქვის აპარატის გამოყენებაც, თუმცა, საბოლოო დასკვნის გაკეთება მაინც ნაადრევად ჩაითვალა.

### ცნობა ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალიდან

**ფეხბურთი ხიფათს ქმნის — ასეთია ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნებული ჰოლანდიელი მედიკოსების გამოკვლევის შედეგები. 1996 წლის 22 ივნისს, როცა ევროპის ჩემპიონატის დრამატიზმით აღსავსე მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჰოლანდიისა და საფრანგეთის ნაკრებები, გულის შეტევით გარდაიცვალა 14 კაცით მეტი, ვიდრე ვთქვათ, თამაშამდე 5 დღით ადრე ან 5 დღის შემდეგ. ქალებსაც ამ დღეს მრავლად ჰქონდათ გულის შეტევა, ისე, არავინ გარდაცვლილა.**

**იმ მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო დასრულდა ფრედ 0-0, პენალტების სერიაში კი (5-4) გაიმარჯვეს ფრანგებმა. კლარენს ზეედორფის პენალტი ფრანგების მეკარემ მოიგერია. ჰოლანდია — საფრანგეთის მატჩს 9,8 მილიონი ჰოლანდიელი ადევნებდა თვალს, რაც ქვეყნის მაშინდელი მოსახლეობის 60 პროცენტს შეადგენდა.**

**შემთხვევითი დასკვნებისგან თავი რომ შეეკავებინა, გამოკვლევის ხელმძღვანელმა, უტრეჰტის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორმა დიდერიკ გრობემ იმ დღის, 1996 წლის 22 ივნისის მონაცემები შეადარა 1995 და 1997 წლების ივნისის ამავე დღისას. იმ საფეხბურთო დღეს გულის შეტევების რაოდენობა ერთნახევარჯერ მეტი იყო. მედიკოსები თვლიან, რომ გულის შეტევების რაოდენობის ზრდა არა მარტო სტრესითა და ტელევიზიით მატჩის ყურებისას მიღებული მღელვარებით იყო გამოწვეული, არამედ ამ დროს თამბაქოს მეტისმეტი წევით, ალკოჰოლის მიღების გაზრდით და... მეტისმეტი ღორმუცელობით!**

### „ფრთხილად იყავი, დღეს აუცილებლად გაგაძევებ მინდვრიდან"

საინტერესო განცხადება გააცნო თურქ ჟურნალისტებს სტამბოლის „გალათასარაის" მთავარმა მწვრთნელმა, რუმინელმა მირჩა ლუჩესკუმ. იგი ირწმუნება, რომ თურქეთის პირველობის „გენჩლერბირლინგისა" და „გალათასარაის" მატჩის წინ მსაჯმა გეორგე ჰაჯის ასეთი სიტყვებით მიმართა: „ფრთხილად იყავი, დღეს აუცილებლად გაგაძევებ მინდვრიდან".

ეს მართლაც ასე მოხდა. როცა მსაჯმა „გალათასარაის" გატანილი გოლი არ ჩაუთვალა, ჰაჯი მას მივარდა, ჯერ შეაფურთხა, შემდეგ ძლიერ დააბიჯა ფეხი და მართლაც დაატოვებინეს მინდორი.

### „ემოციებმა იმძლავრა და..."

**მკაცრად დაისაჯა მადრიდელი ვაიგულშემატკივარი, რომელიც „რეალისა" და „ბარსელონას" ამასწინანდელ მატჩში მოულოდნელად შეიჭრა მინდორზე და კატალონიელთა მეკარე ხოსე მანუელ რეინას ხელი გაარტყა. რა თქმა უნდა, იგი ვერც საჯარო ბოდიშმა იხსნა, რომელიც სტუმრების მეკარეს მოუხადა.**

**„იმ მომენტში მთლიანად ემოციების ტყვეობაში აღმოვჩნდი. არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. ყველაფერი სრულიად შემთხვევით მოხდა" — განუცხადა „რეალის" ქომაგმა გაზეთ „მარკას" კორესპონდენტს.**

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



## ფეხბურთი ყველასათვის!

ამ სურათზე ჩვენი გაზეთის მკითხველი ბევრ სახეს ამოიცნობს. აქ წარმოდგენილნი არიან წარსულში ცნობილი ფეხბურთელები, ფეხბურთის ფუნქციონერები, პარლამენტარები, ჟურნალისტები, სხვა ცნობილი ადამიანები. ისინი ყოველ შაბათს იკრიბებიან მუშტაიდის ბაღის ტერიტორიაზე მდებარე „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლის მოედანზე. კვირაში [illegible] ახელ აქ მათი თავმოყრის ამბავი თბილისში ბევრმა იცის, ხშირად იმართება ამხანაგური მატჩები, გულშემატკივრებიც ჰყავთ. რაც მთავარია, მოზარდი ფეხბურთელები მოედანზე უცქერენ სახელგანთქმულ ვეტერან ფეხბურთელებს, რომელთა თამაში, ცხადია, არასდროს უნახავთ, ახლა კი შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი თვალით იხილონ მათი საფირმო ილეთები.

*ფოტო და ინფორმაცია მოგვაწოდა მუშტაიდელთა გუნდის წევრმა „ლელოს" ვეტერ[illegible]ნმა ავტორმა შალვა დევნოზაშვილმა.*

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 12-3 | 11 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 2 | 0 | 11-4 | 11 |
| ჰოლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 13-6 | 8 |
| კვიპროსი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-12 | 7 |
| ესტონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 3-22 | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 13-4 | 13 |
| ბელარუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-6 | 10 |
| უკრაინა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 8 |
| უელსი | 5 | 0 | 4 | 1 | 5-6 | 4 |
| სომხეთი | 5 | 0 | 2 | 3 | 5-11 | 2 |
| ნორვეგია | 5 | 0 | 2 | 3 | 4-7 | 2 |




## ევროპა

## I ჯგუფი

*სლოვენია — იუგოსლავია 1-1*
0-1 მილოშევიჩი (32), 1-1 ზაჰოვიჩი (90).
*შვეიცარია — ლუქსემბურგი 5-0*
ფრეი (9, 32, 90), ლომფატი (64), შაპიუზა (72).
*რუსეთი — ფარერები 1-0*
მოსტოვოი (19)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| შვეიცარია | 5 | 2 | 2 | 1 | 13-5 | 8 |
| სლოვენია | 5 | 1 | 4 | 0 | 8-7 | 7 |
| იუგოსლავია | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| ფარერები | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| ლუქსემბურ. | 5 | 0 | 0 | 5 | 1-14 | 0 |

## II ჯგუფი

*პორტუგალია — ჰოლანდია 2-2*
0-1 ჰასელბაინკი (18 პენ.), 0-2 კლუივერტი (47), 1-2 პაულეტა (84), 2-2 ფიგუ (90 პენ.).
*კვიპროსი — ესტონეთი 2-2*
1-0 კონსტანტინუ (47), 2-0 ოკასი (65), 2-1 კრისტალი (75), 2-2 პიიროია (77).
*ანდორა — ირლანდია 0-3*
ჰარტი (33 პენ.), კილბეინი (76), ჰოლანდი (80).

## III ჯგუფი

*ბულგარეთი — ჩრდ. ირლანდია 4-3*
1-0 ბალაკოვი (7 პენ), 1-1 უილიამსი (15), 2-1 მ. პეტროვი (17), 3-1 ჩომაკოვი (72), 4-1 მ. პეტროვი (78), 4-2 ელიოტი (84), 4-3 ჰეილი (90 პენ.).
*ჩეხეთი — დანია 0-0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 6-0 | 11 |
| ბულგარეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-6 | 10 |
| დანია | 5 | 2 | 3 | 0 | 9-3 | 9 |
| ჩრდ.ირლანდ. | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 4 |
| ისლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |
| მალტა | 4 | 0 | 1 | 3 | 0-9 | 1 |

## IV ჯგუფი

*მაკედონია — თურქეთი 1-2*
1-0 მიჩევსკი (20), 1-1 მიტრესკი (68 საკ. კ.), 1-2 უმით დავალა (69).
*მოლდოვა — შვედეთი 0-2*
ოლბოკი (89, 90).
*სლოვაკეთი — აზერბაიჯანი 3-1*
1-0 ნემეტი (1), 1-1 ვასილიევი (3 პენ.), 2-1 ნემეტი (10), 3-1 მესაროში (57).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-2 | 11 |
| თურქეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| შვედეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 5-1 | 11 |
| მაკედონია | 5 | 1 | 1 | 3 | 4-5 | 4 |
| მოლდოვა | 5 | 0 | 2 | 3 | 0-5 | 2 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-8 | 1 |

## V ჯგუფი

*ბელარუსი — ნორვეგია 2-1*
1-0 ხაცკევიჩი (19), 1-1 სოლსკიაერი (68), ვასილიუკი (90).
*პოლონეთი — სომხეთი 4-0*
მიხ. ჟევლაკოვი (15 პენ.), ოლისაძე (41), მარ. ჟევლაკოვი (81), კარავანი (88).
*უელსი — უკრაინა 1-1*
1-0 ჰართსონი (11), 1-1 შევჩენკო (52).

## VI ჯგუფი

*შოტლანდია — სან-მარინო 4-0*
ჰენდრი (22,32), დოდსი (33), კამერონი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 10-3 | 11 |
| ბელგია | 4 | 2 | 2 | 0 | 16-3 | 8 |
| ხორვატია | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 5 |
| ლატვია | 4 | 1 | 0 | 3 | 2-9 | 3 |
| სან-მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1-17 | 0 |

## VII ჯგუფი

*ლიხტენშტეინი — ბოსნია 0-3*
ბარბარესი (10,72), ჰოტა (89)
*ავსტრია — ისრაელი 2-1*
0-1 ბაური (6 საკ. კ.), 1-1 ბაური (9), 2-1 ჰერცოგი (41 პენ.).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-2 | 10 |
| ავსტრია | 4 | 2 | 2 | 0 | 5-3 | 8 |
| ისრაელი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| ბოსნია | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |
| ლიხტენშტ. | 4 | 0 | 0 | 4 | 0-11 | 0 |

## VIII ჯგუფი

*საქართველო — რუმინეთი 0-2*
*იტალია — ლიტვა 4-0*
ინძაგი (17,63), დელ პიერო (49, 79).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 13-2 | 13 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 9-4 | 5 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| ლიტვა | 5 | 0 | 1 | 4 | 2-16 | 1 |

## IX ჯგუფი

*საბერძნეთი — გერმანია 2-4*
0-1 რემერი (6), 1-1 არისტიასი (20), 1-2 ბალაკი (25 პენ.), 2-2 გეორგიადისი (44), 2-3 კლოსე (81), 2-4 ბოდე (89).
*ალბანეთი — ინგლისი 1-3*
0-1 ოუენი (74), 0-2 სქოულზი (85 პენ.), 1-2 რაკლი (90), 1-3 ენდი კოული (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 4 | 4 | 0 | 0 | 9-3 | 12 |
| ინგლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| ფინეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |
| საბერძნეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |

## კონკაკაფი

*გონდურასი — აშშ 1-2*
0-1 სტიუარტი (33), 1-1 დე ლეონი (60), 1-2 მატისი (87).
*კოსტა-რიკა — ტრინიდადი 3-0*
ბრისი (46), ვანჩოპე (81,89).
*ორი ტურის შემდეგ:* აშშ — 6 ქულა, კოსტა-რიკა — 4, მექსიკა — 3, იამაიკა — 2, გონდურასი — 1, ტრინიდადი — 0.

## სამხრეთ ამერიკა. XI ტური

*პერუ — ჩილე 3-1*
1-0 მაესტრი (54), 1-1 ნავია (62), 2-1 მენდოსა (73), 3-1 პისარო (81).
*კოლუმბია — ბოლივია 2-0*
პაბლო ანხელი (53, 73 პენ.)
*ეკვადორი — ბრაზილია 1-0*
დელგადო (49)
*არგენტინა — ვენესუელა 5-0*
კრესპო (13), სორინი (31), ვერონი (51), გალიარდო (60), სამუელი (81).
*ურუგვაი — პარაგვაი 0-1*
ალვარენგა (64)

**არგენტინა — 28 ქულა, პარაგვაი — 23, ბრაზილია — 20, ეკვადორი — 19, კოლუმბია — 18, ურუგვაი — 15, პერუ — 11, ჩილე — 10, ბოლივია — 9, ვენესუელა — 3.**




## სტივ პერიმენი — იაპონიაში გატარებული 6 წლის შთაბეჭდილებები

**ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი სტივ პერიმენი ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ კაპიტანი იყო. როცა მოთამაშის კარიერა დაასრულა, გაემგზავრა იაპონიაში, სადაც ჯეი-ლიგის კლუბ „შიმიცუ ეს-პალსში“ დაიწყო მუშაობა, ჯერ მთავარ მწვრთნელ, განთქმულ არგენტინელ ოსვალდო არდილესის ასისტენტად, შემდეგ კი მთავარ მწვრთნელად. ექვსი წლის განმავლობაში „შიმიცუმ“ პერიმენის ხელმძღვანელობით მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა: იაპონიის ჩემპიონატი, იმპერატორის თასი, აზიის ქვეყნების თასების თასი.**

სტივ პერიმენი — იაპონურ ფეხბურთზე:

● ***სტივ, იაპონიაში 6 წელი გაატარეთ. როგორია თქვენი შთაბეჭდილება?***

— მომხიბლა იაპონურმა კულტურამ. მინდა მოვიყვანო ასეთი მაგალითი. სპეციალურად ვთხოვე „შიმიცუს“ ხელმძღვანელობას არ მოეწყო ჩემთვის დიდი, ხმაურიანი გაცილება. იმის მიუხედავად, რომ იაპონიიდან დილაადრიანად მივემგზავრებოდი, ჩემს გასაცილებლად ძალიან ბევრი გულშემატკივარი მოვიდა და ყველამ საჩუქარი მომიტანა. ამან ჩემი უკანასკნელი დღე გამახსენა „ტოტენჰემ ჰოტსპურსში“, სადაც 19 წელი გავატარე. ეტყობა, ვერავინ შენიშნა, რომ ერთ-ერთი ფეხბურთელი კარიერას ამთავრებდა.

● ***თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ იაპონელები უფრო მგრძნობიარე ხალხია, ვიდრე ინგლისელები?***

— არ ვიცი, შესაძლოა, საქმე ისაა, რომ იაპონიაში ცხოვრება ისეთი გიჟური ტემპით არ მიმდინარეობს, როგორც ევროპასა ან ამერკაში. იაპონელები სხვადასხვა მოვლენას თავისებურად უდგებიან. მთელ მსოფლიოში ახლა მთავარია ეკონომიკური მხარე — თუ რაიმე სამუშაოს სამი კაცი კარგად ასრულებს, მას ვერ შეძლებს ათი. იაპონიაში, თუკი ერთი სახლიდან მეორეში გადადიხართ, აუცილებლად 20 კაცი გაგაცილებთ. ბენზინის გასამართ პუნქტში ხუთი კაცი გემსახურებათ. იაპონელები თვლიან, და, ეტყობა, სამართლიანადაც, რომ ადამიანი, რომელიც უმუშევარი დარჩა, მხოლოდ უსიამოვნების მომტანია. უნდა გითხრათ, რომ იაპონიაში საერთოდ არა ხდება მცირე დანაშაული, რაც ასე გავრცელებულია ინგლისში.

● ***როგორია, თქვენი აზრით, ჯეი-ლიგის დონე?***

— საკმაოდ მაღალია. ეს რამდენიმე ფაქტორით უნდა აიხსნას. იაპონიაში ფეხბურთის განვითარების პირდაპირ იდეალური პირობებია შექმნილი. რომ შევადაროთ პრემიერ-ლიგისა და ჯეი-ლიგის საწვრთნელი ბაზები, იგი ინგლისელების სასარგებლოდ როდი იქნება. ამასთან, იაპონელ ფეხბურთელებს კარგი მასწავლებლებიც ჰყავთ. ჯეი-ლიგაში გამოდიოდნენ და ახლაც თამაშობენ საუკეთესო ფეხბურთელები მთელი მსოფლიოდან, ისეთები, როგორც დუნგა ან სტოიკოვიჩია.

● ***რომელი საფეხბურთო სტილია ყველაზე პოპულარული იაპონიაში?***

— ეტყობა, სამხრეთამერიკული — ჯეი-ლიგაში ძალიან ბევრი მწვრთნელია ბრაზილიასა და არგენტინიდან. ამასთან, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბრაზილიელ მწვრთნელს ევროპელებთან რაიმე უპირატესობა აქვს. იაპონიაში მართლაც წამყვანი ბრაზილიელი სპეციალისტები მუშაობენ. ასე, მაგალითად, ტონინიო სერეზო იაპონიაში მაშინ ჩამოვიდა, როცა „ატლეტიკო მინეირო“ ბრაზილიის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა.

● ***იაპონია მსოფლიოს შემდეგი ჩემპიონატის ორგანიზატორია. ეჭვგარეშეა, ეს ჩემპიონატი ფინანსური თვალსაზრისით გრანდიოზული წარმატებით დამთავრდება. მაგრამ იქნება კი იაპონიაში ის საფეხბურთო ატმოსფერო, რომელიც არის ხოლმე ევროპისა და სამხრეთ ამერიკის სტადიონებზე?***

— იმ ხნის განმავლობაში, რაც ჯეი-ლიგა არსებობს, იაპონელებმა ისწავლეს ფეხბურთის საკითხებში გარკვევა. ისინი არა მარტო ემოციური, არამედ მცოდნე გულშემატკივრებიც არიან. რა თქმა უნდა, არ შეიძლება შევადაროთ იაპონელთა დამოკიდებულება ფეხბურთისადმი, დამოკიდებულებას ინგლისში, იტალიაში ან ბრაზილიაში. იაპონიაში ფეხბურთს ძალიან სერიოზული მეტოქე ჰყავს — ბეისბოლი. ამასთან, ვფიქრობ, რომ ის ადამიანები, რომლებიც წელიწადნახევრის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებს დაესწრებიან, აღტაცებული დარჩებიან.

● ***როგორ აფასებთ იაპონიის ნაკრების შესაძლებლობებს?***

— ტაქტიკისა და ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით იაპონელები ევროპელებს არაფრით ჩამოუვარდებიან. იაპონია ყველა ნაკრებისათვის ღირსეული მეტოქე იქნება. ერთადერთი მათი ნაკლი ისეთი მოთამაშეების არყოლაა, რომლებსაც შეუძლიათ მატჩის ბედის მარტოდმარტო გადაწყვეტა, ვთქვათ ისეთებისა, როგორიც არიან ლინეკერი და ბექჰემი. იაპონელები საფრანგეთის 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ტოლს არავის უდებდნენ, მაგრამ სამივე მატჩი წააგეს და მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს. ესეც მათი მენტალიტეტის დამახასიათებელი ნიშანია. იაპონელი იდეალურად ასრულებს მწვრთნელის მითითებას, მაგრამ ვერ ბედავს რაიმე მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღებას.

● ***ვთქვათ, ერთმანეთს ხვდებიან ინგლისისა და იაპონიის ნაკრებები?***

— ინგლისელებს ახლა მაინც უკეთესი მოთამაშეები ჰყავთ. თუკი ინგლისის ნაკრების თამაში კარგად იქნება ორგანიზებული, იგი მოიგებს კიდეც.

● ***როგორ მოიქცეოდით, ინგლისში რომ გქონდეთ მწვრთნელად მუშაობის საშუალება და იაპონიაშიც?***

— რა თქმა უნდა, ინგლისში მინდა წარმატების მოპოვება. ამასთან, არასოდეს დავთანხმდები ისეთ პირობებზე, როგორიც „ბრენტფორდის“ მწვრთნელად მუშაობის დროს მქონდა. აქ ისეთი ამოცანების გადაწყვეტა მიხდებოდა, რაც მწვრთნელის მუშაობასთან არანაირად არ იყო დაკავშირებული. თანაბარ პირობებში მაინც იაპონიაში მუშაობას ვამჯობინებდი, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემს ოჯახს ძალიან მოეწონა იქ ცხოვრება. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც შიმიცუ დავტოვე, იყო ის, რომ იქ არ არსებობდა ინგლისური სკოლა, სადაც შეეძლოთ ესწავლათ ჩემს ქალიშვილებს. თუკი მივიღებ წინადადებას რომელიმე დიდი იაპონური ქალაქიდან, ალბათ, დავთანხმდები კიდეც.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები

# ტიერი ანრის საუკეთესო სეზონი

**შარშანდელი სეზონი ტიერი ანრისთვის მეტისმეტად იღბლიანი აღმოჩნდა. მან 34 (!) გოლი გაიტანა „არსენალის“ შემადგენლობაში, ითამაშა უეფას თასის ფინალურ მატჩში, და, რაც მთავარია, ევროპის ჩემპიონი გახდა. იგი ფრანგმა ჟურნალისტებმა ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, თუმცა, როგორც იტყვიან, მრისხანე მეტოქე ჰყავდა — ზინედინ ზიდანი. გთავაზობთ ნაწყვეტს ტიერი ანრის ვრცელი ინტერვიუდან. მას ესაუბრება „ფრანს ფუტბოლის“ ლონდონელი კორესპონდენტი არნო რამსეი.**

● ***ტიერი, „ფრანს ფუტბოლმა“ თქვენ საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელათ, ზიდანიც კი ჩამოიტოვეთ. კმაყოფილი ხართ?***

— ძალიან გამიხარდა. ისე კი, არ ღირს მეტისმეტად გაამაყება, თუმცა თვით ზიზუც კი ჩამოვიტოვე.

● ***ამ ჯილდომ მთელი წლის შედეგები დააგვირგვინა.***

— დიახ, ეს ჩემი საუკეთესო სეზონი იყო, მაგრამ ყველაფერი ასე იოლად როდი გამომივიდა. არ დაგავიწყდეთ, როგორც კი „არსენალში“ ჩავირიცხე, თავდაპირველად სათადარიგო მოთამაშე ვიყავი. ითვლებოდა, რომ შუკერი, კანუ და ბერხკამპი უკეთესები იყვნენ. მაშინ ბევრს ვერც კი წარმოედგინა, რომ მალე წამყვან როლს სწორედ მე შევასრულებდი. ამას სულ ერთი წელიწადი დასჭირდა. ინგლისში მალე დავწინაურდი — არსენ ვენგერმა დამარწმუნა, რომ საგოლე ალღო არასოდეს გამიქრებოდა. ადრე საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ცენტრფორვარდი ვიყავი. „არსენალში“ ვარჯიშისას შეუპოვრად ვმუშაობდი სხვადასხვა კომბინაციის დასაუფლებლად, რომლებიც წინ უძღვის კარში დარტყმას. ადრე ბევრი ექსპერტი გარემარბად მთვლიდა. როცა არსენ ვენგერმა ცენტრში გადამიყვანა, ბევრს ეცინებოდა კიდეც, გიჟად თვლიდნენ მწვრთნელს. „ამის გაკეთება ევროპის ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე ხომ თვითმკვლელობის ტოლფასია. არა, ცენტრში ანრი ვერავითარ შემთხვევაში კარგად ვერ ითამაშებს“. ერთხელ მეც კი ვერ მოვითმინე და ვენგერს მივმართე: „არ შემიძლია ცენტრალურ თავდამსხმელად თამაში, ფრთაზე გადამიყვანეთ. ლი დიქსონის საიუბილეო მატჩში ტრიბუნაზე ვიჯექი მარტინ კიოუნის გვერდით. ვენგერი მოვიდა და მითხრა: „დაუკვირდი იან რაიტის თამაშს. იგი შენზე სწრაფად არ დარბის, არც შენზე მაღლა ხტება, ფიზიკურადაც უფრო ძლიერი არ არის, ნებისმიერი მდგომარეობიდან კი გოლები გააქვს, არც იმას აქვს მისთვის დიდი მნიშვნელობა, რომელი მცველი უპირისპირდება. შენც იგივე უნდა შეძლო.“

● ***შემდეგ?***

— შემდეგ ის იყო, რომ პირველად დიდი ყურადღებით დავაკვირდი იან რაიტის თამაშს, თუმცა დიდი ხანია ამ თავდამსხმელით აღტაცებული ვიყავი. ეს იყო ამხანაგური მატჩი მადრიდის „რეალთან“. დროის დიდი ნაწილი ლიბეროს პირისპირ რაიტმა გარეგნულად სრული გულცივობით გაატარა, თითქოს სულაც არ აინტერესებდა, მინდორზე რა ხდებოდა. მაგრამ როგორც კი მეტოქეთა უკან ჩამოტოვების თუნდაც ოდნავ შესაძლებლობა გამოჩნდებოდა, რაიტი სრულიად იცვლებოდა, რომ იტყვიან, ფეთქდებოდა. შემდეგ უიკენდზე ვენგერმა „არსენალში“ ცენტრალური თავდამსხმელის პოსტი მომანდო, ოდნავ უკან კი ბერხკამპსა და კანუს მიუჩინა ადგილი. მაშინ პირველად გავიტანე ორი გოლი ამ კლუბში. ყველაფერში რაიტს ვბაძავდი: ვცდილობდი მომედუნებინა მცველების ყურადღება და მოულოდნელად შემეტია, ამისათვის ყოველი შესაძლებლობა გამომეყენებინა. ამის შემდეგ სულ ასეთი სტილით ვთამაშობ. ჩემი მოქმედება ავტომატიზმამდეც კი მივიყვანე.

● ***როდიდან შეგიყვარდათ ფეხბურთი ასე ძლიერ?***

— მამის გავლენით. ჩვენ ასეთი გართობით ვიყავით გატაცებული. თუ იგი ახსენებდა, ვთქვათ, „ბორდოს“, უნდა დამესახელებინა ამ გუნდის ყველა მოთამაშე. ინგლისის ფეხბურთის ქვეყნის თასის ფინალების დროს ვეცნობოდი — ჩვენთან ტელევიზიით გადასცემდნენ ამ მატჩებს. დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს ჩვენს საკვირაო საფეხბურთო გადაცემას, სადაც ბევრი საყურადღებო ცნობა იყო საზღვარგარეთული ფეხბურთის შესახებ. ბავშვობაშივე გავხდი „არსენალის“ ფანატი, მომწონდა მისი სტადიონი, რომელიც ფერებით ორ ნაწილად იყო გაყოფილი, გულშემატკივრები, რომლებიც ძლიერ განიცდიდნენ და სრული ხმით ყვიროდნენ. საერთოდ ფეხბურთელის პროფესია მსახიობისას ჰგავს: თუ დარბაზი ცარიელია, აღმაფრენა არა გაქვს, და თუ სავსეა, ყველაფერს უჩვენებ, რაც გაგაჩნია...

● ***და ამიტომაც გინდოდათ ინგლისში თამაში.***

— დიახ, ეს არაერთგზის მითქვამს. მაშინაც კი, როცა ცხადი გახდა, რომ „იუვენტუსში“ უნდა გადავსულიყავი.

● ***რას იტყვით, იმ პერიოდზე, როცა იტალიაში თამაშობდით?***

— იქ ასეთ სქემას იყენებდნენ 3+5=2. მარცხენა ფრთაზე თამაში არ გამომივიდა. 3 გოლი მთელი ნახევარი წლის განმავლობაში — პირდაპირ ვთქვათ, ვერაფერი შედეგია. არც მინდა სერიოზულად ვილაპარაკო ჩემს იტალიურ „პერიოდზე“. ვერაფერი გავუგე კლუბს, იქ შექმნილ პირობებს, ბევრი რამ იყო უსიამოვნო და ძალიან გავიხარე, როცა იტალიის დატოვება მომიხდა.

● ***„არსენალი“ თქვენი იდეალი იყო და არც გაგცრუებიათ მოლოდინი.***

— დიახ. მინდორზე თავს მშვენივრად ვგრძნობ. საათნახევარი მინდორზე ყველა დაძაბულია, მაგრამ თამაშის დამთავრებიდან 5 წუთის შემდეგ ყველაფერს ვივიწყებთ. ერთმანეთს როდი ვებუზღუნებით. რა თქმა უნდა, დასაწყისში პრობლემებიც შემექმნა. ინგლისური ისე კარგად არ ვიცოდი, ყველაფერი რომ გამეგო, რაზე ლაპარაკობდნენ პარტნიორები, როცა თამაშს განიხილავდნენ. ამის გამო შეჩვევამ გარკვეული დრო მოითხოვა.

● ***რა როლი შეასრულა ვენგერმა თქვენს აღმასვლაში?***

— იგი ყოველთვის იმას გეუბნება, რასაც ფიქრობს, არ მიმართავს არავითარ ზეწოლას, შენ თვითონ უნდა მიიღო გადაწყვეტილება. ამის შესაძლებლობას ვენგერი ყოველთვის გაძლევს. მან იცის, როდის უნდა ელაპარაკოს მოთამაშეს, როდის არ უნდა მიმართოს, დეე, იგი მარტო დარჩეს და იფიქროს. როცა იგრძნო, რომ ჩემთვის შესაფერის ადგილზე ვთამაშობ და არაფრის შეცვლა აღარ მინდა, მან დამამშვიდა: „ივარჯიშე, ყველაფერი კარგად იქნება.“ როცა „არსენალში“ თამაში დავიწყე, ტერფი მაწუხებდა. იყო პერიოდი, როცა მატჩის ბოლოს გამოვდიოდი მინდორზე, ან სულაც სათადარიგოთა სკამზე ვრჩებოდი. ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე სწორედ არსენ ვენგერის წყალობით გავხდი.

● ***თქვენი მთავარი მიზანი გოლის გატანაა?***

— როცა გოლი არ გაგაქვს, რა თქმა უნდა, გწყინს. გოლის გატანა ყოველთვის ჩემი მიზანია, მაგრამ, როცა პარტნიორი უკეთეს პოზიციაშია, აუცილებლად მას გადავცემ ბურთს. გოლის ისეთი გიჟი კი არა ვარ, როგორიც ბატისტუტაა. იგი ყოველი პოზიციიდან, ყოველი კუთხიდან ურტყამს კარში.

● ***„მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში გატანილი თქვენი გოლი ხომ სულ სხვა რამეზე მეტყველებს?***

— დიახ, ყველა ამ გოლზე მეუბნება. იმ მატჩის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებთან სამხრეთ აფრიკაში გავფრინდი. იოჰანესბურგის აეროპორტში მაჩერებდნენ: ტვირთის მზიდავები, მძღოლები, ქალები, მოხუცები — ყველა მილოცავდა. ინსტინქტურად ვმოქმედებდი, არ მიფიქრია, არაფერი გამითვლია, ინტუიციის მიხედვით.

● ***„არსენალში“ დაიხვეწა თქვენი თამაში, უფრო სრულყოფილი გახდა.***

— დიახ, ყოველმხრივ წარმატება მაქვს: უკეთ ვთამაშობ თავით, უკეთ ვფლობ ბურთს, უკეთ ვიბრძვი. ინგლისში არაფერი გამოგივა, რაც არ უნდა ტექნიკური იყო, თუ დუელს არ მოიგებ. ყველა თავდაუზოგავად თამაშობს, თუ შეიძლება ასე ითქვას 200 პროცენტით. მომწონს ასეთი მანერა, როცა არ იმალები, თავს არ იზოგავ. საერთოდ კი, ინგლისური ფეხბურთის მომხრე და ქომაგი ვარ. იგივე აზრისაა ბარტეზიც, რომელსაც ინგლისში, რამდენადაც ვიცი, მოსწონს თამაში. ინგლისში, რაგინდ დიდი არ უნდა იყოს დაძაბულობა, თუნდაც უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ, მოთამაშეებს თავგზა არ ებნევათ. მე, მაგალითად, გასახდელ ოთახში ყოველთვის ვიცინი და ხუმრობის ხასიათზე ვარ. მხოლოდ ორჯერ ვიყავი წონასწორობიდან გამოსული მთელი ჩემი კარიერის მანძილზე: პირველად, როცა მსოფლიო პირველობაზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებს ვეთამაშებოდით, მეორედ კი, შარშან ევროპის ჩემპიონატში პორტუგალიელებს რომ ვხვდებოდით. სამწუხაროდ, ხშირად ვხვდებით მოთამაშეებს, რომლებიც მინდორზე ისე გამოდიან, როგორც გასვენებაში.



ტიერი ანრი (მუქ მაისურში)



ტიერი ანრი №12

● ***თქვენი აზრით, ფეხბურთელები თამაშში სულ ნაკლებ და ნაკლებ სიამოვნებას იღებენ?***

— დიახ, ასეა. გაუთავებლად ვიმეორებ: ფეხბურთი, უწინარეს ყოვლისა, თამაშია. ბევრს ავიწყდება ეს. როცა ლაპარაკია კლუბების პრეზიდენტებზე, გასაგებია — მათთვის ფეხბურთი ბიზნესია, მაგრამ, როცა ასე მსჯელობენ მოთამაშეები, ეს უკვე სისულელეა. სულაც არ ვაპირებ სიკვდილს მინდორზე. როცა სატელევიზიო გადაცემაში მესმის, რომ მწვრთნელი 12-13 წლის ბიჭებს მოუწოდებს ნებისმიერ ფასად მოიგონ კვირას მატჩი, შეშფოთების გრძნობა დამეუფლება ხოლმე.

● ***2000-მა წელმა საყოველთაო აღიარება მოგიტანათ. გრძნობთ, რომ ამ წლის განმავლობაში უფრო ძლიერად დაიწყეთ თამაში?***

— არა, აძას არა ვგრძნობ. უბრალოდ, ასე მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ იტყვიან, მიმართლებდა. ყოველ შემთხვევაში, რაიმე გააზრებული მოქმედებისათვის არ მიმიმართავს, რათა პროგრესისათვის მიმეღწია. ისევე, როგორც ადრე, იმას, რასაც ვაკეთებ, მაინცდამაინც სერიოზულად ვერ აღვიქვამ. ყველაფრის იოლად გაკეთება მიყვარს. მიყვარს ხუმრობა, ჩემი ძველი მეგობრები, რომლებიც არც ისე ბევრნი არიან, მაგრამ უაღრესად ერთგულებია. ისინი ვერასოდეს მოისმენენ: „ეი, ფრთხილად იყავი, შენ ხომ საქმე გენიალურ ანრისთან გაქვს, რომელმაც ამას და ამას მიაღწია...“ ნელ-ნელა გამოცდილება შევიძინე. 20 წლისა, ცოტა არ იყოს, არასერიოზული ვიყავი, შემეძლო სხვადასხვა ადამიანისათვის, რომ იტყვიან, პირდაღებული მომესმინა, ყოველგვარი სისულელე დამეჯერებინა. ახლა ვისწავლე ფიქრი, ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება. თანამედროვე ფეხბურთელი მკაცრი ცხოვრებით ცხოვრობს, სწრაფად სწავლობს ჭკუას.

● ***იქნებ ზოგიერთი მიღებული გაკვეთილი გაითვალისწინოთ.***

— პირველი იყო წინასწარი კონტრაქტი მადრიდის „რეალთან“, სადაც იგი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ცდილობდა ჩემს ექსპლოატაციას. შემდეგ იყო ის ხმები, თითქოს მე და დავიდ ტრეზეგემ „ჩავძირეთ“ ჟან ტიგანა „მონაკოში“, ხელი შევუწყვეთ მის მოხსნას. ეს დიდი სიცრუე იყო, ჩინებული ურთიერთობა შევინარჩუნეთ. და განა მე და დავიდს შეგვეძლო გვემოქმედა ტიგანას გადადგომის გადაწყვეტილებაზე? ახლა „იუვენტუსიდან“ ჩემს გამოთხოვებასაც შევეხოთ. თითოეული ამ სიტუაციიდან დამეხმარა გამეგო, რომ პროფესიული ფეხბურთის სამყარო სულაც არ არის ისეთი უღრუბლო და მშვიდი, როგორიც მინდოდა ყოფილიყო. ამასთან, თითოეულმა ამ სიტუაციამ უფრო გამზარდა და გამაძლიერა. არასოდეს ვჩიოდი, არ ვბუზღუნებდი, მაგრამ სიძნელეებს არ ვუფრთხოდი, სულაც არ გამომითქვამს უკმაყოფილება, როცა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის შემდეგ საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში დავბრუნდი, რომელსაც რაიმონ დომენეში ხელმძღვანელობდა. იმასაც ვიტყვი, რომ ამ მწვრთნელს ბევრს ვუმადლი. მაშინ არ მითქვამს, მსოფლიო ჩემპიონი ვარ, „დიდი ვარ“, ასე რომ მოვქცეულიყავი, ბევრს დავკარგავდი. შესაძლოა, არც დღევანდელი წარმატებები მქონოდა, ვთქვათ, არც ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში მიმეღო მონაწილეობა.

● ***დიახ, ეჭვიც კი გამოითქვა, ევროპის ჩემპიონატში თქვენი მონაწილეობის შესახებ...***

— არა, პირადად მე ამაში არასოდეს დავეჭვებულვარ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ევროპის ჩემპიონატში აუცილებლად ვითამაშებდი, იმის მიუხედავად, რომ შესარჩევ ტურნირში სულ ერთხელ გამოვედი მინდორზე, ისიც ათი წუთით, ისლანდიასთან. ამასთან, „არსენალში“ გოლები გამქონდა. კარგად ვთამაშობდი, ეს კი ჩემს სასარგებლოდ მეტყველებდა. ეს, მით უმეტეს სასიამოვნო იყო, რომ ვაღმერთებ საფრანგეთის ახლანდელ ნაკრებს. გუნდში შესანიშნავი, თითქმის ოჯახური ატმოსფეროა და ასე იყო ყოველთვის, იმ დროიდან მოყოლებული, როცა ნაკრებში თამაში დავიწყე. კარგად მახსოვს ჩემი პირველი მატჩი „სამფეროვანთა“ ნაკრებში სამხრეთაფრიკელთა წინააღმდეგ (1997 წლის ოქტომბერში, ლანსში). საშინლად მეშინოდა ცუდად არ მეთამაშა, ბურთი არ დამეკარგა. ხელფეხშეკრული ვიყავი. ემე ჟაკემ იმიტომ ჩამრთო თამაშში, რომ სამხრეთაფრიკელების კარისთვის საფრთხე შეგვექმნა. მე კი რაღაც უკან მეწეოდა, მინდვრის შუაგულისაკენ, სადაც შემეძლო პარტნიორებთან რისკის გარეშე მეთამაშა. სულ მალე ჩემი შიში გაჰქრა. პარტნიორები დამეხმარნენ მომეხსნა დაძაბულობა. უკვე მეორე მატჩში თავს თავისუფლად ვგრძნობდი. საფრანგეთის ნაკრები მშვენიერი, ნამდვილად მშვენიერი კოლექტივია. აქ 22 გამარჯვებული, 22 ჭეშმარიტი სპორტსმენი და 22 ჩინებული ახალგაზრდაა. ამ გუნდურ სულისკვეთებას უნდა ვუმადლოდეთ ამდენი წარმატება რომ მოვიპოვეთ.

● ***ევროპის 2000 წლის ჩემპიონატში ნაკრები არაერთხელ აღმოჩნდა რთულ სიტუაციაში.***

— დიახ, მატჩი იტალიელებთან უმძიმესი გამოდგა. ესპანელებმაც საკმაოდ გვანერვიულეს. აი, პორტუგალიელებთან მატჩში კი არ შემპარვია ეჭვი ჩვენს გამარჯვებაში. აი, სწორედ ამ გრძნობამ გამიწია დახმარება დავრწმუნებულიყავი, რომ ნაკრების სრულფასოვანი წევრი ვარ. ადრე მსოფლიო პირველობაზე, 1998 წელს თითქოს არც კი ვფიქრობდი მატჩების შედეგებზე, თითქოს საქმეს ისე ვუყურებდი, როგორც გარეშე პიროვნება. მართალია, მაშინ თამაში სასტარტო შემადგენლობაში დავიწყე, შემდეგ მაინც სათადარიგო გავხდი. აი, ევროპის პირველობაზე კი ნაკრების ერთ-ერთი ნაწილი ვიყავი, მისი ორგანული წევრი.

● ***ამ ორ ტურნირში ზიდანის მხარდამხარ თამაშობდით. ბევრი ფიქრობს, რომ, როცა ზიდანთან თამაშობ, შენი მოქმედებაც იცვლება.***

— მე ასე ვიტყოდი: როცა ზიდანის მხარდამხარ თამაშობ, გოლიც უნდა გაიტანო. ყველა მატჩში იგი ორ-სამჯერ ისე გენიალურად გაწოდებს ბურთს, რომ, უბრალოდ, სირცხვილია, არ შეაგდო. აღტაცებული ვარ მისი „ინსტინქტური ფეხბურთით“, მისი თამაშით, სადაც ღვთიური შთაგონება ჩანს. მეც ვცდილობ ასე ვითამაშო.

● ***რისკენ მიისწრაფით ცხოვრებაში, თქვენს კარიერაში?***

— მინდა ისტორიაში კვალი დავტოვო. ბედნიერი ვარ, რომ ეს ჩემი ოცნება რამდენადმე შევასრულე კიდეც. უკვე შემიძლია ვთქვა: გახსოვთ საფრანგეთის ის ნაკრები, რომელმაც 1998 და 2000 წლებში დუბლს მიაღწია? დიახ, მე იმ გუნდში ვთამაშობდი. ამასთან, ეს ხომ შეიძლება ზღვარი არ იყოს: მსოფლიო ჩემპიონატი იაპონიასა და კორეაში მალე დაიწყება...

## ნაკრები, რომელიც ... არ არსებობს!

ცნობილმა რუსმა მწვრთნელმა ვლადიმირ სალკოვმა ახალი წლიდან ჩაიბარა უზბეკეთის ნაკრები, გუნდი, რომელიც დღეისათვის ფაქტობრივად... არ არსებობს. რას აპირებს ასეთ ყოფაში ჩავარდნილი მწვრთნელი?

– უკვე აპრილში ჩავებმებით მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. შერჩევის სისტემა ძალიან რთული და მრავალსაფეხურიანია. დასაწყისში უნდა გავიმარჯვოთ წინასწარ ჯგუფში, სადაც ჩვენს გარდა გამოდიან თურქმენეთის, იორდანიისა და ტაივანის ნაკრებები. ოთხივე ნაკრები მოიყრის თავს ჩვენთან ტაშკენტში, სადაც ჩატარდება პირველი წრე, მეორე კი ერთი კვირის შემდეგ იორდანიაში გაიმართება. მხოლოდ პირველ ადგილზე გასული [illegible] ეძლევა უფლება მოხვდეს პირველ ათეულში, რომელიც აგრძელებს შემდგომ ბრძოლას. მათგან ორი ჯგუფი შეიქმნება, რომლებშიც 5-5 ნაკრები ითამაშებს, თითო გამარჯვებული მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობის უფლებას მიიღებს, მეორე ადგილებზე გასულები კი, დამატებითი მატჩების საშუალებას.

ასეთ პირობებში სალკოვს სხვა ქვეყნებში მოთამაშე ლეგიონერების იმედი აქვს, ისეთებისა, როგორიც არიან კასიმოვი სამარის „კრილია სოვეტოვიდან“, ბუგალო „ალანიიდან“, ლუშანი და აკოფიანცი „როსტსელმაშიდან“, ფედოროვი „რუბინიდან“ და შაცკიხი კიევის „დინამოდან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა

## ნბა

### „საკრამენტომ" რევანში აიღო

კვირას „საკრამენტო", რომელიც ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის მოქმედი ჩემპიონია, ლოს-ანჯელესის „ლეიკერსთან" შინ დიდი ანგარიშით დამარცხდა 72:84. გუშინ კი, ლოს-ანჯელესში მეტოქეებმა როლები გაცვალეს, სტუმრებმა გაიმარჯვეს 108:84. სხვა გუშინდელი მატჩები ასე დამთავრდა: ნიუ-ჯერსი — დენვერი 99:96, ფილადელფია — ორლანდო 95:96, ფინიკსი — კლივლენდი 103:94, პორტლენდი — დალასი 84:94, სიეტლი — მინესოტა 94:93.



სურათზე: ლეიკერსი — საკრამენტო. მასპინძელი კალათბურთელი რიკ ფოქსი (მარცხნივ) ცდილობს გასცდეს ვლადე დივაცს.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | თ. | მ. | ფ. | % |
|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 71 | 49 | 22 | 69,0 |
| მილუოკი | 70 | 44 | 26 | 62,9 |
| მაიამი | 70 | 42 | 28 | 60,0 |
| ნიუ-იორკი | 70 | 42 | 28 | 60,0 |
| შარლოტი | 71 | 40 | 31 | 56,3 |
| ტორონტო | 71 | 39 | 32 | 54,9 |
| ორლანდო | 71 | 39 | 32 | 54,9 |
| ინდიანა | 70 | 32 | 38 | 45,7 |
| ბოსტონი | 70 | 32 | 38 | 45,7 |
| კლივლენდი | 71 | 26 | 45 | 36,6 |
| დეტროიტი | 71 | 25 | 46 | 35,2 |
| ნიუ-ჯერსი | 73 | 25 | 49 | 33,8 |
| ატლანტა | 72 | 21 | 51 | 29,2 |
| ვაშინგტონი | 71 | 17 | 54 | 23,9 |
| ჩიკაგო | 70 | 12 | 58 | 17,1 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სან-ანტონიო | 71 | 50 | 21 | 70,4 |
| საკრამენტო | 70 | 48 | 22 | 68,6 |
| იუტა | 70 | 47 | 23 | 67,1 |
| ლეიკერსი | 72 | 47 | 25 | 65,3 |
| პორტლენდი | 70 | 46 | 25 | 64,8 |
| დალასი | 70 | 46 | 25 | 64,8 |
| ფინიკსი | 69 | 43 | 27 | 61,4 |
| მინესოტა | 71 | 42 | 29 | 59,2 |
| ჰიუსტონი | 71 | 39 | 32 | 54,9 |
| სიეტლი | 74 | 40 | 34 | 54,1 |
| დენვერი | 71 | 34 | 38 | 47,2 |
| კლიპერსი | 72 | 26 | 46 | 36,1 |
| ვანკუვერი | 72 | 20 | 52 | 27,8 |
| გოლდენ სტე. | 70 | 17 | 53 | 24,3 |

### შონ მარიონი კვირის საუკეთესო მოთამაშე

ნბა-ს საუკუთესო მოთამაშედ ამ კვირაში დასახელდა „ფენიკს სანზის" თავდამსხმელი. განვლილ 7 დღეში „ფენიქსმა" მოიგო ოთხივე მატჩი, მარიონი კი საუკეთესო იყო თავის გუნდში. კვირის მატჩებში მან საშუალოდ 21,8 ქულა მიითვალა და 13,5 მოხსნა შეასრულა.

## ფორმულა-1

### რბოლა სან-პაულუს ენვევა

ზეგ, პირველ აპრილს, ბრაზილიის ქალაქ „სან-პაულუს" „ინტერლაგოსის" რინგზე ჩატარდება მსოფლიოს 52-ე ჩემპიონატის მესამე ეტაპი. მონაწილეებმა 4309 მ-იანი ტრასა 71-ჯერ უნდა „შთანთქან", და სულ — 305, 909 კმ დასძლიონ. ამ ეტაპის შარშანდელმა გამარჯვებულმა მიხაელ შუმახერმა (ფერარი) ეტაპი 1:31.35,271 განვლო — საათში 200,404 კმ სისწრაფე განავითარა, მან წრეც ყველაზე ნაკლებ დროში დაფარა — 1.14,755 რაც, საათში — 207,510 კმ-ს უდრის.

როგორი ამინდი დაემთხვევა ბრაზილიის გრან-პრის? გუშინ გავრცელდა ცნობა, რომ ფორმულა-1-ში ბრაზილიის გრან-პრის დღეებში შედეგებზე შეიძლება გავლენა მოახდინოს წვიმამ. მოსალოდნელია ამინდის სწრაფი ცვალებადობა, სინოპტიკოსები ვარაუდობენ, რომ რბოლის სამივე დღეს წვიმა შეიძლება ნებისმიერ დროს წამოვიდეს.

### ფერსტაპენი — „ფერარიში"?



რას არ გაიგებს კაცი. ბოლო ხანს აგორდა ჭორი იმის თაობაზე, რომ სახელგანთქმული მიხაელ შუმახერი „ტოიოტაში" გადადის. იმასაც ამბობენ, „ფერარის" მისი სხვა მრბოლიც დატოვებს — რუბენს ბარიკელო (სურათზე), რომელსაც შეცვლის იოს ფერსტაპენი. შეიძლება ეს მართლაც მოხდეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ამას წინათ ბარიკელომ უკვე გამოთქვა საჯაროდ პრეტენზიები შუმახერის მისამართით, რის გამოც ბრაზილიელს გუნდის მეპატრონეებმა საერთოდ აუკრძალეს ჟურნალისტებთან ურთიერთობა.

## ველოსპორტი

### როგორც იქნა, განიკურნა

ადრე ვიუწყებოდით, 12 თებერვალს საკუთარ სახლში ნათურის გამოსაცვლელად სკამზე ასული ფრანგი ველომრბოლი ლორან ჟალაბერი იატაკზე დაეცა და სამი ნეკნი დაემტვრა. ამის გამო 32 წლის სპორტსმენი დიდხანს იწვა საავადმყოფოში. ახლა კი, იტყობინებიან, ვარჯიშსაც შეუდგა. ვარაუდობენ, რომ იგი 25-29 აპრილს გერმანიის გზებზე გამართულ დიდ საერთაშორისო ველორბოლაში მიიღებს მონაწილეობას.



ლორან ჟალაბერი

## ცურვა

### მოზესმა სლუდნოვის რეკორდი გააუმჯობესა

ამერიკის მოცურავეთა პირველობაზე, რომელიც ტეხასის შტატის ქალაქ ოსტინში მიმდინარეობს, სიდნეიში ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანმა ედ მოზესმა 100-მეტრიან დისტანციაზე ბრასის სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 1.00,29. წინა რეკორდი ეკუთვნოდა რუსეთელ რომან სლუდნოვს — 1.00,36. ამ მიღწევისათვის ამერიკელ მოცურავეს 250 ათასი დოლარის საპრიზო თანხა გადაეცა.



ცისფერ ბილიკზე ედ მოზესი

## მძლეოსნობა

### დელი წავიდა

სახელგანთქმულმა მოთხილამურემ ბიორნ დელიმ განცხადება გააკეთა თავისი სპორტული კარიერის დასრულების შესახებ. 12 ოლიმპიური მედლის მფლობელმა, 1999 წელს შეჯიბრებაში ხერხემალი დაიზიანა და მას შემდეგ ვერა და ვერ ჩადგა მწყობრში. ინტერნეტში, თავის საიტში, მოთხილამურე წერს: „უკანასკნელ მომენტამდე მჯეროდა, რომ შევძლებდი ვარჯიშის განახლებას, რათა გაისად ზამთრის ოლიმპიადაში მიმელო მონაწილეობა. სამწუხაროდ, მივედი იმ დასკვნამდე, რომ სოლტ-ლეიკ პლესიდში ველარ ვიასპარეზებ. ჩემი ზურგი ამის საშუალებას არ მაძლევს".

## ჩოგბურთი

**● „ERICSSON OPEN"-ის მეოთხედფინალში ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუტმა ადვილად სძლია ამერიკელ თინეიჯერ ენდი როდიკს, რომელმაც მანამდე ბრძოლიდან გამოთიშა ცნობილი პიტ სამპრასი.**



ლეიტონ ჰიუტი

**● მარატ საფინი** „დევისის თასზე" კვლავ ითამაშებს რუსეთის ნაკრებში მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა არ მოშუშებია — ეს განაცხადა გუნდის კაპიტანმა შამილ ტარპიშევმა. შვედების წინაალმდეგ რუსეთის ნაკრებში გამოვლენ აგრეთვე ევგენი კაფელნიკოვი, ანდრეი სტოლიაროვი და მიხაელ იუჟნი. ბოლოს მეტოქეები 1994 წელს შეხვდნენ ერთმანეთს მოსკოვში, მაშინ სტუმრებმა იმარჯვეს — 4-1. ამჯერად მატჩი მალმეში ჩატარდება 6-8 აპრილს.

### შუმახერი რონალდოს წინააღმდეგ



ბრაზილიაში, ლეგენდარულ „მარაკანაზე" გაიმართა საქველმოქმედო მატჩი ფეხბურთში, რომლის შემოსავალი მთლიანად გადაეცა უსახლკარო და მაწანწალა ბავშვებს. შეხვედრას 10 ათასი მაყურებელი დაესწრო. მასში სახელგანთქმული ფეხბურთელების — რონალდოს, ზიკოს, ბებეტოს, ალბერტო პერეირას, ზაგალოს გარდა მონაწილეობა მიიღეს ავტომრბოლებმა მიახელ შუმახერმა, რუბენს ბარიკელომ და სხვ.

სურათზე: როგორც ყოველთვის, გაიმარჯვა მეგობრობამ მიუხედავად გატანილი გოლების სხვაობისა. შუმახერი (მარჯვნივ) და რონალდო მატჩის შემდეგ კარგ ხასიათზე იყვნენ.

# თურქულის მძვინვარება და ინგლისის ნოვატორობა

გავარდნა-შემოსვლის გარეშე „ექვს ერს“ მუღამი აკლიაო — ტანჯული „ექვსი ერის“ მაისში დასრულება კვლავ სათუოა. საქონლის ჭირის, ჩვენში თურქულად ცნობილი ავადობის ეპიდემიას, ბოლო არ უჩანს. ამის გამო ირლანდიას სამი გამოტოვებული თამაში უგროვდება.

სხვაფრივ, ინგლისის რაგბის კავშირმა გამოაქვეყნა ჭეშმარიტად რევოლუციური წინადადება, რომლის მადლიც შეიძლება საქართველოსაც მოწვდეს.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ირლანდია კიდევ ერთი თვე ვერ ეთამაშება უელსს, ინგლისსა და შოტლანდიას.

მეტიც, ეს თამაშები შეიძლება საერთოდ გადაიდოს შემოდგომისთვის, რაკი თურქული არა და არ ცხრება, საკარანტინო წესებით კი ეპიდემია მოთავებულად ბოლო შემთხვევიდან 30 დღის შემდეგღა ითვლება.

დადგენილი ტრადიციით, ჩრდილოეთში რაგბობა მაისის ბოლოს წყდება.

ივნის-ივლისში სულაც საერთაშორისო სეზონის კულმინაციაა დანიშნული: სრულიად ბრიტანეთის ნაკრებმა „ლომებმა“ ავსტრალია უნდა მოვლოს და რიგითი მატჩების გარდა, სამი ტესტი გაუმართოს მსოფლიოს ჩემპიონ „ვოლაბებს“.

ასე რომ, ირლანდია და მისი სამი მეტოქე საექვსეროდ შემოდგომაზეღა თუ მოიცლის, რაც მთლად ახალი ხილი არაა, რახან უელსში ყვავილის აღმოჩენის გამო, 1962 წელს, იქ ირლანდიის სტუმრობა მარტიდან ნოემბრისთვის გადაიდო.

ახლა რაც შეეხება ინგლისელთა წინადადებას. მათ რვაწლიანი სტრატეგიული გეგმა გამოაქვეყნეს. ამისი ერთი მუხლია „ექვსი ერის“ პირველობის გარდაქმნა ევროპის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგად და, ამდენად, გავარდნა-შემოსვლის შემოღება.

თამაშების გადადებისა არ იყოს, არც ეს იდეაა მთლად ახალი, მაგრამ პირველად კია, რომ იგი ვინმე ჟურნალისტმა კი არა, ოფიციოზმა წამოაყენა.

ინგლისის თქმით, „ექვს ერს“ ახლანდელი ფორმით მუღამი აკლია. მთელი ყურადღება მიმართულია ცხრილის კენწეროსკენ, ფსკერი კი არავის ადარდებს.

სულ სხვაგვარად იქნებოდა საქმე, ბოლო გუნდი რომ ვარდებოდეს, მის მაგივრად კი ქვედა დივიზიონის გამარჯვებული შემოდიოდეს.

ესე იგი, ინგლისსა სურს, რომ „ექვსი ერის“ მომდევნო „ერთა თასის“ ჩემპიონი შემდეგ სეზონში გრანდთა მარაქაში გაერიოს.



„ერთა თასი“ სწორედ ის შეჯიბრებაა, საქართველო რომ მონაწილეობს.

წლეულს ჩვენს „ბორჯღალოსნებსა“ და რუმინეთს ჯერჯერობით ოთხ ტურში ოთხ-ოთხი მოგება აქვთ და ვინც მათ შორის გაიმარჯვებს, ჩემპიონიც ის იქნება.

ისე ნუ გაგვიგებთ, რომ თუ რუმინეთს ვძლევთ, 2002 წელს „ექვს ერში“ მიგვიღებენ.

არა და არა! მსოფლიო რაგბის გარდაქმნის უზანტესი ტემპი რომ ვუწყოთ, ვეჭვობთ, ინგლისური პროექტი 2003 წლის მსოფლიო თასის დასრულებამდე განხორციელდეს, მით უფრო, თუ მანამდე მთელი სანაკრებო კალენდარი მისხალ-მისხალაა გათვლილი.

2004 წელს რა მოხდება, ჯერჯერობით ძნელი განსაჭვრეტია. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული რაგბის აღმავლობა იმ დროშიც გაგრძელდება და „ბორჯღალოსნებს“ ელიტაში გაწევრების უფრო საფუძვლიანი არგუმენტები ექნებათ.

მაგრამ აქ სათქმელია ექვსერელთა ზნეც. ინგლისმა იცის, რომ მას ჩამოქვეითება არასდროს დაემუქრება და ამიტომ ნოვატორობს, თორემ სხვები პომთა წინადადებას კბილ ალესილი შეხვდებიან.

აბა, ჰკითხეთ ირლანდიას ან უელსს, რა ურჩევნიათ: გარანტირებულად ებურთაონ იმათ, ვისთანაც ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ყოველწლიურად თამაშობენ, თუ ჩამოქვეითდნენ და თუნდაც ერთ სეზონში ეპაეჭრონ, ვთქვათ და, საქართველოს, რუმინეთს, რუსეთს, ესპანეთს და მისთანებს.

კელტთა გულისთქმის გამოცნობა აქ არ უნდა გაძნელდეს და მაინცდამაინც არც საქმეს უჩანს ისეთი პირი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ევროპული რაგბი ნათესაობრივის მაგივრად სამართლებრივ პრინციპს დაემყაროს.

## კარპატებში ფრი, ფრი! იჩქარეთ!

ვინძლო უადგილოდ არ დარჩეთ. ტუ-134-ში ხომ მხოლოდ 72 მგზავრი ეტევა.

დიახ, სწორედ რომ „ტუ“ გამოუყვია „საქართველოს ავიახაზებს“, რათა რუმინეთში გააფრინოს რაგბის ქომაგობა.

7 აპრილს, ბუქარესტში, ხომ „ერთა თასის“ გადამწყვეტი თამაშია ჩვენს „ბორჯღალოსნებსა“ და მათ „მუხის ფოთლებს“ შორის.

თანამემამულეთა მხარდაჭერა და ისიც სტუმრად, ფრიადი ფაქტორია, მაგრამ ავიახაზებს მორაგბეთა პასუხიც ეჩქარება - იგი 2 აპრილისთვის ჰირდება.

ამდენად, ვინც დიდი ბურთაობის თვალდათვალ დაგემოვნებას აპირებს, უნდა ინებოს და დროულად შეეხმიანოს რაგბის კავშირის მხრიდან ამ წამოწყების კურატორს, ბატონ გია კუბლაშვილს (ტელეფონი: 29-47-54 ან 29-47-63).

## ხსოვნა

### რიტა ონიკაშვილი



უკურნებელმა სენმა შეიწირა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე. 45 წლისა წავიდა ამქვეყნიდან წარსულში ცნობილი სპორტსმენი, საქართველოში ბადმინტონის პირველი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული წარმომადგენელი რიტა ონიკაშვილი. მის სპორტულ ბიოგრაფიას არაერთი თვალსაჩინო წარმატება ამშვენებს. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში, საკავშირო ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებული ერთეულთა თანრიგში. სპორტიდან წასვლის შემდეგ, ერთხანს, მოზარდებსაც წვრთნიდა, რასაც სკოლაში უცხო ენის პედაგოგად მუშაობას უთავსებდა, მსაჯობდა კიდეც.

რიტა ონიკაშვილის ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება მათი გულებიდან, ვინც ამ უაღრესად კეთილშობილ და სათნო ქალბატონს ახლოს იცნობდა.

მეგობრები

## წყლის სახეობები

# ხეინსი მიდის...

ატლანტაში ოლიმპიური თამაშების ორი ოქროს მედლის მფლობელი 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში, სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელი პენი ხეინსი დიდი სპორტიდან მიდის. 26 წლის ხეინსმა ჯერ კიდევ სიდნეიში გამართული ოლიმპიადის წინ გადაწყვიტა დიდ სპორტთან გამოთხოვება, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ახლა მიიღო. აღსანიშნავია, რომ ახლა უკვე ლეგენდარულმა მოცურავემ 1999 წელს თერთმეტჯერ დაამყარა მსოფლიო რეკორდი, პირველად რეკორდსმენი კი 1996 წელს გახდა.




## ექვსენ წყალბურთელთა მწვრთნელს ევროპის ნაკრებისთვის

როგორც ცნობილია, წლეულს ავსტრალიაში, სექტემბერში გაიმართება „კეთილი ნების“ თამაშები. ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ, რომელიც წყალბურთსაც აერთიანებს, ევროპის წყალბურთელთა გუნდის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მიიწვია ვოლგოგრადის „ვოლგას“ პრეზიდენტი და რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვიქტორ ავდიენკო. როგორც იუწყებიან, ავდიენკომ შეიძლება თავაზიანი უარი შეუთვალოს მის დამფასებლებს იმის მომიზეზებით, რომ იგი მთლიანად გადართულია „მოკლე წყალზე“ მსოფლიო ჩემპიონატისთვის რუსეთის ნაკრების მომზადებაზე. ეს შეჯიბრება ჩატარდება მოსკოვში, 2002 წელს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ოვერტაიმი (19.25), რუსთავი-2. ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.15), *FUROSPORT.* ფეხბურთი. მსოფლიო 2002-ის გზებზე (13.00, 16.30), კალათბურთი. ევროლიგა (22.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (3.15), *НТВ плюс футбол.* ჰოლანდიის ჩემპიონატი (18.15), ევროპის ქვეყნების ჩემპიონატები (20.00), ჩემპიონთა ლიგა „სპარტაკი“ – „ლიონი“ (21.15) გერმანიის ჩემპიონატი (23.10).

**31 მარტი, შაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), *მე-9 არხი.* „ევროპის სტადიონებზე“ (20.00), *ESPN.* კალათბურთი. ნბა (20.00, 20.30), ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი „ლივერპული“ – „მანჩესტერი“, პირდაპირი (15.00, 05.30, 18.00). იტალიის ჩემპიონატის მატჩი, პირდაპირი (23.00), *FUROSPORT*. ფეხბურთი. მსოფლიო 2002-ის გზები (15.00), ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (23.00), ბილიარდი. მსოფლიო თასის ფინალი, ჰოლანდიიდან (0.00). *НТВ плюс футбол.* გერმანიის (13.15, 18.25), ჰოლანდიის (16.15) ჩემპიონატები. ჩემპიონთა ლიგა. „ბავარია“ – „არსენალი“ (21.50).

**1 აპრილი, კვირა**

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* სპორტული პროგრამა (19.20), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (12.00), *ESPN.* ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი (07.30, 20.00, პირდაპირი), იტალიის ჩემპიონატი (15.30), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.00), აშშ-ის ფეხბურთი (05.00), *EUROSPORT*. ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (22.10), ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.00). ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი შვეიცარიიდან (20.45). *НТВ плюс футбол.* იტალიის (13.15, 23.25), ესპანეთის (15.30, 1.35), ინგლისის (19.55) ჩემპიონატები. ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა (22.05).

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი კარიკატურისტი ათეული წლების მანძილზე ჩვენი გაზეთის ერთგული ავტორი

**ვახტანგ კუცია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## კროსვორდი №25



**თარაზულად:** 7. საქართველოს ტელევიზიის I არხის სპორტული გადაცემა, 8. სახელოვანი ქართველი ფალავანი, 12. „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი, 13. შვედი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 14. წარსულში ამერიკელი პროფესიონალი მძიმეწონოსანი მოკრივე, 15. ქართველი ჩოგბურთელი ქალი, 17. „სკუადრა აძურას“ მცველი, 18. წარსულში ცნობილი რუსი ტანმოვარჯიშე ვაჟი, 22. ბავშვთა საფეხბურთო სკოლა თბილისში, 25. ამპლუა სპორტულ თამაშებში, 26. „ნისლიანი...“, 27. იტალიური ფეხბურთი, 29. წარსულში ცნობილი კიეველი ფეხბურთელი, მეკარე, 30. წარსულში ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელი, მეკარე.

**შვეულად:** 1. წარსულში მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, 2. 80-იანი წლების ქართველი ფეხბურთელი, მცველი, 3. რუსთავის საკალათბურთო გუნდი, 4. სატანვარჯიშო იარაღი, 5. „სკუადრა აძურას“ ნახევარმცველი, 6. ინგლისში მომუშავე ფრანგი საფეხბურთო მწვრთნელი, 9. წარსულში საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 10. იტალიის სერია „B“ კლუბი, 11. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, 15. ესპანური სპორტული გაზეთი, 16. ავტოდრომი იტალიაში, 19. ინგლისელი მოჭადრაკე ვაჟი, 20. სპორტის სახეობა, 21. ცნობილი ჩეხი საფეხბურთო მწვრთნელი, 23. წარსულში სახელოვანი ფრანგი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 24. ფრანგი ფეხბურთელი, ფორვარდი, 27. სპორტის სახეობა. 28. ნბა-ს ვარსკვლავი.

### №24 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 6. რაიტი, 9. რუმინეთი, 10. რავანელი, 11. კონტე, 12. სლივა, 14. არიკა, 17. კნუპი, 20. აბედი, 21. ასლანაძე, 22. „სტაბეკი“, 23. აზია, 27. სონგო, 29. რეპკა, 30. ისა, 33. ლიგა, 34. ამორი. **შვეულად:** 1. არიკა, 2. „სიონი“, 3. შირეა, 4. ბუფონი, 5. ონილი, 7. გალკა, 8. ილიადი, 12. „სპორტინგი“, 13. „ვესტერლო“, 15. რაეციგერი, 16. აბრამიძე, 18. „იანინა“, 19. კალაძე, 24. კლოსი, 25. რაკლი, 26. „ალბასეტე“, 28. „ოსი“, 29. რაი, 31. ბა, 32. ბო.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. გამულაშვილი



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. მფe5! 1. ...მფe7 2. ლh7X.
1. ...c5 2. ლb7X. 1. ...c6 2. ლh7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380058, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე.